საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 6 ივლისი. 2018 წ. №137 (8538), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.

ქართველი ერი წყდება!!!

თურქი ექიმები საქართველოში სიმსივნის სტატისტიკის ზრდით გაოცებულები არიან!



განგაში!

3

ალიკო ცინცაძე: ...ეს ზღაპარი კი არა, სრული ჭეშმარიტებაა!

6

როგორი აკადემია გვინდა?!

მოხდება თუ არა საქართველოში ძლიერი მიწისძვრები?!

4

თამაზ ჭელიძე: სეისმომედეგი მშენებლობა ერთადერთი რეალური ხერხია მიწისძვრით გამოწვეული კატასტროფის რისკის შემცირებისა!

გელა ჭოქიაშვილი

9

მაია თომაძის ნიჭის ელვარება

პირველად, საქართველო-ნატოს ურთიერთობების ისტორიაში, სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა უმაღლეს დონეზე გაიმართება

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 11-12 ივლისს ბრიუსელში ნატოს სამიტის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას, სადაც საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს.

საქართველოს პრეზიდენტის საერთაშორისო მდივნის თენგიზ ფხალაძის განცხადებით, ნატოს სამიტისათვის მოსამზადებელ პერიოდში ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ალიანსის ყურადღების კონცენტრირება საქართველოზე და უსაფრთხოების იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა.

„განხილული იქნება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებიც, სადაც საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ უფრო და უფრო აქტიურად ერთვება“, — აღნიშნა თენგიზ ფხალაძემ.

საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, პრეზიდენტის საერთაშორისო მდივანი.

პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია

დღეს, 19:30 საათზე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართება. სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია ნატოს ბრიუსელის 11-12 ივლისის სამიტისთვის მზადების პროცესში საქართველოს ხელისუფლების კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხებისა და ქვეყნის თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების პროგრესის განხილვა.

საბჭოს წინაშე მოხსენებებით წარდგებიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია.

ნარკომანმა „გირჩმა“ ზოოპარკს დედალი სირაქლემა სთხოვა!

პოლიტიკურმა გაერთიანება „გირჩმა“ ზოოპარკს ნახევარი დღით სირაქლემა სთხოვა. განცხადებაში ნათქვამია, რომ სირაქლემა სჭირდებათ დემონსტრაციისთვის და თვალსაჩინოებისთვის, თუ როგორი რეალობაა სასამართლოში. პარტია თავის თავზე იღებს სირაქლემის ტრანსპორტირებას საქალაქო სასამართლოდან ზოოპარკამდე.

გაირკვა, რომ ზოოპარკს სირაქლემა არ ჰყავს, თუმცა ცხოველებისა და ფრინველების „გათხოვება“ მაინც გამორიცხულია:

„ნებისმიერ შემთხვევაში, ცხოველისა თუ ფრინველის რამდენიმე საათით „გათხოვება“, გამორიცხულია. ცხოველებისთვის ტრანსპორტირება დიდ სტრესთან არის დაკავშირებული, ზოოპარკის ფუნქცია კი ცხოველებზე ზრუნვაა“, — განაცხადა ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ.

ნეტავ, რა მოწიეთ ისეთი, დაქლიავებულო „გირჩელებო“?!

გარიცხეს თუ წავიდა?

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში აღარ არის.

პარტიის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებული 15-კაციანი სიიდან გიორგი კვირიკაშვილის გვარი ამოღებულია. უცნობია, ყოფილი პრემიერი გარიცხეს პოლიტსაბჭოდან თუ საკუთარი სურვილით წავიდა. სიაში ამ დროისთვის მხოლოდ 14 პირია დარჩენილი.

გიორგი გახარია საფრანგეთში თავის ფრანგ კოლეგას შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკას ეწვია. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცება, განსაკუთრებით კი იმ გამოწვევებზე რეაგირება, რაც ევროკავშირის და შენგენის სივრცესთან უვიზო რეჟიმის პირობებში საქართველოდან არალეგალურ მიგრაციასა და ქართველთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს უკავშირდება.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი გახარია საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ჟერარ კოლომბს შეხვდა. საქართველოსა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შეთანხმებას, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია უწყებებს შორის არსებულ ეფექტიან თანამშრომლობაში.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საფრანგეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ ეფექტიან საპოლიციო თანამშრომლობაზე ისაუბრეს, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პოლიციის ატაშეების ინსტიტუტს.

ტყის სექტორის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა პროექტი „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში — ფაზა II“ შემავჯამებელი კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა „ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის“ (ADC) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომადგენლებს პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის და საქართველოში ტყის მდგრადი მართვის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში არად ბენკომ აღნიშნა, საქართველოში ტყეების განვითარების, კონსერვაციისა და აღდგენის კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოების ცნობადობის ამაღლებას. დაუშვებელია ტყის გაჩეხვა-განადგურება, რადგან ტყე ყველას ეკუთვნის.

ელჩის განცხადებით, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს საქართველოსთან, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

1 ივლისიდან აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებას ადგილობრივი თვითმმართველობები აკონტროლებენ

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმად, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტების ფაქტებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაცვლად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადგილობრივი თვითმმართველობები გააკონტროლებენ.

მიმდინარე წლის 1 ივლისამდე, დღის ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები განსაზღვრავდნენ. მიღებული ცვლილებების თანახმად, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტების ფაქტებზე რეაგირებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოახდენენ და აღნიშნული ნორმების დამრღვევებს შესაბამის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დააკისრებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხმაურის მზომი 10 სპეციალური მოწყობილობა, თბილისის მერიის მომართვისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე, დედაქალაქის მერიას უკვე გადასცა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის 20 სპეციალური მზომის გადაცემა ეტაპობრივად განხორციელდება.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ 77-1 და 77-2 მუხლები 2017 წლის 30 ივლისიდან დაემატა, რომელთა მიხედვით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კანონით განისაზღვრა.

ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე პარკი უნდა მოეწყოს...

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ელიავას ბაზრობა და მიმდებარე ტერიტორია საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობის პოტენციურ არეალად განიხილება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ელიავას ბაზრობა და მიმდებარე განვითარებები საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და იწვევს არსებული საცხოვრებელი და ბუნებრივი გარემოს დეგრადირებას.

„ამ ტერიტორიაზე არსებული ობიექტები მოცემულ სექტორზე ქალაქის საგზაო ქსელის მნიშვნელოვანი და არამიზანშეწონილი გადატვირთვის მიზეზი ხდება. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონცეფციით აღიარებული განვითარებითი მიმართულებების თანახმად, აუცილებელია მოცემული ტერიტორიის ეკოლოგიური და სარეკრეაციო პოტენციალის გააზრება და არეალზე შესაბამისი საქალაქო განვითარებების დაგეგმვა. განლაგების გათვალისწინებით ტერიტორია მოიაზრება საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობის პოტენციურ არეალად. საპროექტო მასალის შემუშავების გადაუდებლობა გამოწვეულია ტერიტორიის მიმდინარე დაბინძურებასთან დაკავშირებული საფრთხეებითა და მაღალი სამშენებლო ინტერესით“, — ნათქვამია გენერალურ გეგმაში, რომელიც მერიამ თბილისის საკრებულოს გუშინ გადაუგზავნა.



მეტროს ვაგონები დაემატება

„ჩვენ ვაპირებთ მეტროში ვაგონების დამატებას“, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის კითხვის საპასუხოდ კალაძემ აღნიშნა, რომ მეტროში მატარებლებს შორის მოძრაობის ინტერვალის შემცირებაზე მუშაობა დაწყებულია.

„რაც შეეხება ინტერვალის შემცირებას, ესეც ჩემი საარჩევნო დაპირება იყო — ზოგადად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება, მათ შორის მეტროსი. ჩვენ ვაპირებთ ვაგონების დამატებას. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ კომპანია „შტადლერთან“, სადაც გაფორმებულია ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში გვინდა, მივაღწიოთ შეთანხმებას, რომ „შტადლერის“ ვაგონების აწყობა-წარმოება მოხდეს საქართველოში და დავაკმაყოფილოთ არა ჩვენი მოთხოვნა, რაც დღეს მეტროში გვაქვს, არამედ მოვემსახუროთ მთლიანად რეგიონს. შესაბამისად, ეს პრობლემა ძალიან მალე მოგვარდება და გვინდა, რომ მოცდის მოლოდინის დროის შემცირება მოხდეს ახალი, ევროპული ტიპის ვაგონების დამატებით. პარალელურად, ასევე ჩვენ ვიწყებთ მეტროს ვაგონების რეაბილიტაციას, რომელმაც ამოწურა თავისი რესურსი, ჩავუტაროთ მთლიანი რეკონსტრუქცია და მოსახლეობას მივცეთ შესაძლებლობა, იმგზავრონ უფრო კომფორტულად. ეს პროცესები დაწყებულია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

გლდანში ახალი პარკი აშენდება

გლდანის მეექვსე მიკრორაიონში, №7 და №20 საცხოვრებელ კორპუსებს შორის, 20 000 კვადრატულ მეტრზე პარკის მოწყობის სამუშაოები დაიწყო. მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე ადგილზე გაეცნო.

პროექტის ფარგლებში, რომელსაც თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ახორციელებს, კალათბურთის მოედანი, ამფითეატრი, ძაღლების სასეირნო სივრცე, სავარჯიშო და საბავშვო მოედნები, სარწყავი სისტემა, საფეხმავლო და ველობილიკები მოეწყობა. ასევე, განთავსდება საპარკე ინფრასტრუქტურა, განხორციელდება არსებული ხიდის რეაბილიტაცია და დამონტაჟდება გარე განათება. სამუშაოების ფარგლებში, ტერიტორიაზე დაირგვება სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეები და 12 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, ჰიდროთესვის პრინციპით, ბალახი დაითესება. პარკში ასევე, ამბრის ხეებისგან ხეივანი მოეწყობა. სამუშაოები, რომელსაც შპს „ტაო“ ასრულებს, დაახლოებით, ოთხ თვეში დასრულდება. პროექტის ღირებულება 927 543 ლარია.

სოფო კილაძე: დაინტერესდით კუპრავას საქმიანობით!

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს, დაინტერესდნენ ზვიად კუპრავას საქმიანობით.

„კუპრავამ დამადანაშაულა იმაში, რომ მე ვარ სუს-თან შეკრული, რომ მე მაქვს რაღაც ინფორმაცია სუსისგან. მან გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აპირებს პროკურატურაში მივიდეს და მოითხოვოს გამოძიება, თუ საიდან მაქვს მე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის იყო საზღვარგარეთ და გია უდესიანის შვილმა მას გადასცა ჩანთა. ეს ინფორმაცია არის აბსოლუტურად ხელმისაწვომი, დაახლოებით ივნისის დასაწყისში გავრცელდა ვიდეოკადრები, ყველაფერი რაზეც კითხვები დავუსვი კუპრავას იყო ამობეჭდილი ამ ვიდეოკადრებზე და მთელი სააგენტოები გადაჭრელებული იყო.

როცა კუპრავას დავუსვი კითხვა, მე არსად მიხსენებია ჩემს კითხვებში სიტყვა ფული ან უდესიანმა რომ გადასცა ფული. თუმცა, ის ჩადგა თავის მართლების რეჟიმში და თქვა, რომ მას ფული არ აუღია უდესიანის ვაჟისგან.

მე მინდა, მივმართო შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებს, დაინტერესდნენ ბატონი კუპრავას საქმიანობით, რატომ ჩადგა ის თავის მართლების რეჟიმში და ფული რა შუაშია იყო, ნამდვილად გადასცა თუ არა გია უდესიანის შვილმა კუპრავას ეს თანხა, რაზეც ის ამბობს, არ ამიღიაო. გაურკვეველია, რატომ უნდა ამტკიცოს ამ ადამიანმა ასეთი რაღაცა? ასევე, დაინტერესდეს კუპრავას საქმინობით, ზოგადად სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები.

მახსოვს, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც, სავარაუდოდ, კუპრავა ფიგურირებს 26 მაისის დარბევების თემაში. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, ყველა კითხვას მასთან დაკავშირებით გაეცეს პასუხი. ძალიან კარგი იქნება, თუ ის თავისი ფეხით მიმართავს პროკურატურას და მოსთხოვს გამოარკვიოს ეს საქმე“, — განაცხადა სოფო კილაძემ გადაცემა „პოლიტმეტრში“.

ზვიად კუპრავამ სოფო კილაძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

ზვიად კუპრავამ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის სოფო კილაძის წინააღმდეგ თბილისის პროკურატურაში განცხადება შეიტანა. კუპრავას აინტერესებს, საიდან ჰქონდა დეპუტატს ინფორმაცია მისი ვილნიუსში ყოფნის შესახებ.

„უცხო ქვეყანაში ადამიანის თვალთვალი, ეს არის ჯაშუშური თვალთვალი. დაიწყოს აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება, დაიკითხოს ქალბატონი სოფო, უფრო დააკონკრეტოს, საიდან იცოდა, რომ მე ვიყავი ვილნიუსში, შესაბამისად პასუხისგებაში მიეცეს ის პირები, რომლებიც ჩემ მიმართ ჯაშუშურ ქმედებას ახორციელებდნენ. მე ნამდვილად ვიყავი ვილნიუსში, მაგრამ არ შეიძლება, სოფოს ეს ინფორმაცია სცოდნოდა“, — აცხადებს კუპრავა

კუპრავას ვილნიუსში ვიზიტის შესახებ შეკითხვა სოფო კილაძემ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სხდომაზე დაუსვა. კუპრავა ეჭვობს, რომ მას ქვეყნის სპეცსამსახურები უთვალთვალებენ.

თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი კლინიკის დირექტორის ქართველი მრჩეველი მალინა ბერიკაშვილი საუბრობს იმ კატასტროფული რეალობის შესახებ, რომლის წინაშეც ქართველი ერი დგას. მისი თქმით, საქართველოდან წასული პაციენტების უმრავლესობა სიმსივნით არის დაავადებული. როგორც მალინა ბერიკაშვილი ამბობს, ბოლო ორი წლის განმავლობაში კონკრეტულად მის კლინიკაში საქართველოდან მიმართვიანობა საგრძნობლად არის გაზრდილი და საშუალოდ თვეში 50-80 პაციენტიდან მხოლოდ ათია მსუბუქი დიაგნოზით, დანარჩენს კი სიმსივნე აქვს. ჩვენი რესპონდენტი ასევე ამახვილებს ყურადღებას იმაზეც, რომ კატასტროფულადაა გაზრდილი ლეიკემიის დიაგნოზიც.



ქართველი ერი წყდება!!!

თურქი ექიმები საქართველოში სიმსივნის სტატისტიკის ზრდით გაოცებულები არიან!

მალინა ბერიკაშვილი:

კატასტროფული მდგომარეობაა და ძალიან აღელვებული ვისაუბრებ ამის შესახებ. მეშვიდე წელიწადია, ვმუშაობ თურქეთის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში, ამ დრომდე საქართველოს კოორდინატორი ვიყავი, ერთი თვეა, რაც დამაწინაურეს და გავხდი კლინიკის დირექტორის მრჩეველი.

ბოლო ორი წელიწადია, თვეში 20 პაციენტიდან ავედით 50-80 პაციენტზე, იანვრის მერე 50-ზე ნაკლები მომართვა არ გვქონია **და საშუალოდ, ათი ადამიანის გარდა, ვინც შესამოწმებლად ჩამოდის, ყველას სიმსივნის დიაგნოზი აქვს**. ყოველდღე მირეკავენ ადამიანები, რომელთაც სიმსივნის დიაგნოზი აქვთ. ყველაზე უცნაური ის არის, რომ მცირე ხნის წინ ერთი ქალბატონი გახლდათ მამოლოგთან, გადაიმოწმა მკერდი და ყველაფერი წესრიგში იყო, ოთხი თვის შემდეგ მას ექიმთან დაბრუნებამ მოუწია, რადგან ხელით მოისინჯა მკერდზე რაღაც. მას აღმოაჩნდა კვანძი, რომელიც არის სიმსივნური, მაღალი რისკის შემცველი. **თუ ჰაერში არ არის რაღაც მომწამვლელი ნივთიერება, ასე სწრაფად სიმსივნე ვერ განვითარდებოდა**. გავიდეთ თბილისში, როგორი გამონაბოლქვია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ **ბავშვებს თმა სცვივათ**. გადავამოწმეთ და თმაში ტყვია იყო. ანალიზები გერმანიაში, აშშ-ში გადავამოწმეთ. საქმე ისაა, რომ ტყვია მეტრს ქვევით ილექება და ყველაზე მეტად ბავშვებს უქმნის უდიდეს პრობლემას. როცა პატარას ეტლით ასეირნებთ, ცენტრალურ გამზირებზე, ეს ძალიან საშიშია.

გადახედეთ საკვებს, ზეთს ზეთის გემო არა აქვს, კარაქს კარაქის. მე თურქეთში ვცხოვრობ და ისეთი გულძმარვა საჭმლისგან არასდროს მქონია, როგორიც თბილისში მაქვს ხოლმე. ძალიან მიჭირს თბილისში ჭამა.

დაბალი დონისაა ჰიგიენური საშუალებები, თმის საღებავი, შამპუნი, კბილის პასტა, სარეცხი საშუალებები, რომლებიც სარეცხსაც ვერ რეცხავს და რას შეიცავს, არავინ იცის, — ყველაფერი უნდა შემოწმდეს, რაც ქვეყანაში შემოდის.

ამას წინათ მე და ჩემი დირექტორი დავსხედით და დავსვით კითხვა, რატომ მოდის ამდენი სიმსივნიანი პაციენტი საქართველოდან, რატომ არის ლეიკემიის ასეთი მაღალი სტატისტიკა.**მხოლოდ 2018 წელს ჩვენს კლინიკაში 15 ადამიანს გავუკეთეთ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, რაც ლეიკემიის დროს კეთდება**. ყველა თვეში მინიმუმ ორ ლეიკემიიან ადამიანს ვიღებთ, აქ სხვა ცნობილი კლინიკებიცაა და დარწმუნებული ვარ, მათაც მაღალი მიმართვიანობა აქვთ, აღარაფერს ვამბობ თბილისში ონკოლოგიურ პაციენტებზე, რომელთაც არა აქვთ საშუალება, სხვა ქვეყნებში გაემგზავრონ სამკურნალოდ.

— ქალბატონო მალინა, ყველაზე მეტად რა ტიპის სიმსივნეებია გავრცელებული საქართველოში, თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით გვითხარით.

— მკერდის, საშვილოსნოს, ფილტვის, ლიმფური კვანძების სიმსივნე და ლეიკემია. ასევე ფარისებრის, პროსტატის და ღვიძლის სიმსივნე. **გარდა ამისა, აძაური ექიმები არიან გაოცებულები, საქართველოდან ხალხი მოდის ისეთი დაავადებებით, რაც უკვე 20 წელია, თურქეთში არ უნახავთ**. მაგალითად, ამ წელს სამი ბავშვი მივიღეთ კუნთების ატროფიით. ჩვენი ერთ-ერთი ექიმი აპირებს საქართველოში ჩამოსვლას და კონფერენციის გამართვას, რომელსაც სურს, ქართველი ექიმები დაესწრონ.

კიდევ ერთ პრობლემაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. **ეს არის C ჰეპატიტის პროგრამა, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. ვინც ამ პროგრამით მკურნალობს, წელიწადნახევრის, ორი წლისთავზე ჩვენთან სიმსივნის დიაგნოზით ჩამოდიან**. ორგანოების გადანერგვით ვინც გადარჩა, გადარჩა, სხვები გარდაიცვალნენ, ზოგს ოპერაციამ ვერ უშველა. მანამდე ამ ადამიანებს არ ჰქონიათ სიმსივნე და ამ მკურნალობის შემდეგ განუვითარდათ. ყოველ შემთხვევაში, ანალიზები ასე აჩვენებს და კვლევა იყო არასწორი? არ ვიცი, პროგრამის წამლები იწვევს პროვოცირებას?!. ამ პროგრამის წამლებს თურქეთშიც სვამენ და სიმსივნის დიაგნოზით შემდგომ არავინ მოდის ჩვენთან.

ანალიზებისა და კვლევების შესახებაც მინდა, ვთქვა — ჩვენმა ერთმა პაციენტმა თბილისში ექვს წამყვან ლაბორატორიაში გაიკეთა სისხლის საერთო ანალიზი და ექვსივეგან სხვადასხვა პასუხი მისცეს, დაბნეული მეკითხებოდა, რომელს დავეყრდნოო, შემდეგ ჩვენთან გავაკეთეთ. აღარაფერს ვიტყვი, შეცდომით მკურნალობაზე, რაც სამწუხაროდ, ხდება.

— თქვენ ამბობთ, რომ ჰაერის დაბინძურება პირველი მიზეზია სიმსივნის სტატისტიკის გაზრდაში?

— ჰაერის დაბინძურება, საკვები, ჰიგიენური საშუალებები და სტრესი. **გარდა ამისა, მინდა, აღვნიშნო, რომ საქართველოში, კლინიკებში გამოყენებულ მასალებს ყრიან ჩვეულებრივ ნაგავში ან კანალიზაციაში, რაც არაფრით არ შეიძლება. ყველა მასალა უნდა მიდიოდეს სპეციალიზებულ ნაგავსაყრელზე და ის შეფუთული უნდა გადაჰქონდეთ ადამიანებს, რომლებიც ასევე სპეცტანსაცმელში იძნებიან გამოწყობილნი.**

სოლარიუმების პრობლემაა უმნიშვნელოვანესი. **თურქი ექიმები კრძალავენ სოლარიუმის გამოყენებას და ამიტომ, თურქეთში ნაკლებად პოპულარულია. საქართველოში კი ახალგაზრდები დღე და ღამ სოლარიუმებში წვანან. ქართველი ერი წყდება.**

საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა — ამ ქვეყნებში განსაკუთრებით დგას სიმსივნის საკითხი, ამ ქვეყნებში რაღაც ანადგურებს ადამიანებს. **ერთი კვირის წინათ ბავშვი რომ კარგად იყო და ერთი კვირის თავზე ლეიკემიის დიაგნოზს უსვამენ, ასეთი შემთხვევაც გვქონდა, ე.ი. არ არის საძმე კარგად. მოერიდეთ ბავშვების ცენტრალურ ძუჩებზე გასეირნებას და თუ მასთან ერთად მოხვდებით, აუცილებლად ხელში აიყვანეთ. რუსთაველზე, პეკინზე, ცენტრალურ გამზირებზე საშინელი მდგომარეობაა. გამორჩეულად დაბინძურებულია ნუცუბიძის ძუჩა, სადაც ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების ანტენები დგას, რომლებიც პირდაპირ ასხივებს რადიაციას, ეს მოძმედებს ლიმფურ კვანძებზე და იწვევს სიმსივნეებს.**

თბილისში ყველა კუთხეში კლინიკაა გახსნილი. **დგას ემერაის აპარატები იძ, სადაც არ უნდა იდგეს. მეთორმეტე სართულზე რომ არის საოპერაციო, ეს არ შეიძლება, საოპერაციო უნდა იყოს მიწის ძვეშ, რადგან ზოგჯერ ოპერაციისას ისეთი აპარატურა გამოიყენება, რომელიც გამოსცემს რადიაციას.**

ჯანდაცვის მინისტრმა უნდა გააკონტროლოს, რომ ყველა კუთხეში და ყველა სართულზე კლინიკა არ გაიხსნას. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს და გააკონტროლოს მანქანები. სტამბოლში ვცხოვრობ და **წელიწადში ერთხელ მანქანა შესამოწმებლად მიგვყავს. აბა, არ წაიყვანო. უდიდეს ჯარიმას დაგაკისრებენ და შეიძლება, მანქანა ჩამოგართვან.**

შეიძლება, ქალაქში 20-30 წლის მანქანები დადიოდეს?! ძველი მანქანების მძღოლები საკუთარი თავის და მთელი ერის დაუნდობელი მტრები არიან!

ნინო მურღულია
HTTP://FORTUNAGE

ვანგა ჭიჭინაძის და მისი „ძმების“ მოჩვენებანი...

„თუკი ამ მთავრობამ კიდევ ვერ გაართვა თავი პრობლემებს, მაშინ შეიძლება ვადამდელი არჩევნები აქტუალური გახდეს

6 ივლისს „ქართველი ხალხის ეროვნული ყრილობა“ ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, რისთვისაც საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასა და საპროტესტო აქციებს გეგმავენ. გარდა ამისა, შეიმუშავებენ აღთქმის ტესტს, რომელსაც ყრილობაზე წაიკითხავენ. ამის შემდეგ თითოეული ქართველი ღმერთის, ქართველი ხალხის, ერისა და ბერის წინაშე აღთქმას დადებს.

ეს ყველაფერი რატომღაც მეუფე იობის ლოცვა-კურთხევას დაუკავშირდა, რადგან თურმე რუის-ურბნისის ეპარქიაში დიდი ხნის განმავლობაში ჩადიოდნენ ცნობილი სასულიერო პირები და ჩვენი ერის ღირსეული შვილები, რომლებიც მეუფე იობს ეროვნული ძალების გაერთიანებასა და საერთო კრების ჩატარებას სთხოვდნენ. მოგვიანებით საპატრიარქო გაემიჯნა ქართველი ხალხის „ეროვნულ ყრილობას“ და მასთან რაიმე კავშირი უარყო. საპატრიარქოს განცხადებით, არასწორია ინფორმაცია, თითქოს ყრილობა მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილის) კურთხევით იმართება, რასაც მეუფე თავადვე უარყოფს.

ამის მიუხედავად, ვადამდელი არჩევნების თემა არა მხოლოდ „ეროვნული ყრილობის“ „მიგნებაა“, არამედ მმართველ გუნდშიც „გამოკრთება“ მასზე მინიშნება.

მართალია, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის წინაპირობას მმართველ გუნდში კატეგორიულად ვერ ხედავენ, მაგრამ რადიკალური განცხადებებით ცნობილი დავით ჭიჭინაძე, მის თანაგუნდელებს რომ დავესესხოთ, ისევ „ვანგობს“ და აცხადებს, რომ, თუ ეს მთავრობა ვერ მოახერხებს საზოგადოების ნდობის მოპოვებას, მაშინ ორი უავტორიტეტო ორგანო, როგორიცაა პარლამენტი და მთავრობა ამ ქვეყანას ვეღარ გაუძღვება და კრიზისის განსამუხტად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გახდება საჭირო. ამიტომ, თუკი ახალი მთავრობის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა არ იქნება, ჭიჭინაძე აპირებს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა დააყენოს. ამასთან, აზუსტებს, რომ მისი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების თაობაზე დაკავშირებულია მთავრობის ავტორიტეტთან.

რა შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს ბოლო დროს ასე პოპულარულ თემად ქცეული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** აცხადებს, რომ დავით ჭიჭინაძე ერთ-ერთი რიგითი დეპუტატია და მისი აზრი არ შეიძლება, მიჩნეულ იქნას „ქართული ოცნების“ მოსაზრებად. ზაალ ანჯაფარიძის განმარტებით, პირადად იგი „ოცნების“ შიდა სამზარეულოში არ არის ჩახედული და არ იცის, ფიქრობენ თუ არა ისინი ვადამდელ არჩევნებზე, თუმცა აქ საინტერესოა, რამდენად არის ამ ეტაპზე ვადამდელი არჩევნების ჩატარების პოლიტიკური მიზანშეწონილობა.

„პოლიტიკური მიზანშეწონილობა დადგება, ალბათ, მაშინ, როდესაც ქვეყანაში განვითარდება ისეთი რეალური პოლიტიკური კრიზისი, რომელიც უკვე გარდაუვალს გახდის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. მეორეც, ვინ უნდა დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? პრეზიდენტმა, რომელსაც ვადის ამოწურვამდე სამთვენახევარი დარჩა?

იხ. 7 გვ.

მოხდება თუ არა საქართველოში ძლიერი მიწისძვრები?!

თამაზ ჭელიძე:

სეისმომედეგი მშენებლობა ერთადერთი რეალური ხერხია მიწისძვრით გამოწვეული კატასტროფის რისკის შემცირებისა!

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში რამდენიმე დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა, რამაც მილიონზე მეტი მსხვერპლი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია. დამტკიცებულია, რომ ადამიანებს მიწისძვრა კი არა, დანგრეული შენობები კლავს. მით უმეტეს, ეს პრობლემა საქართველოში მეტად აქტუალურია, სადაც ბოლო ხანს სხვადასხვა სახის მშენებლობები ყოველგვარი კონტროლის გარეშე ხორციელდება. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს დაზუსტებული სეისმური საშიშროების რუკების შედგენას – განახლებასა და ამ რუკების საფუძველზე თანამედროვე სამშენებლო ნორმების დადგენას.

გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ევროპის საბჭოს დიდი კატასტროფების შეთანხმების სპეციალიზებული ცენტრის დირექტორი, საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების პრეზიდენტი თამაზ ჭელიძე.

– ბატონო თამაზ, ბოლო წლებში ძალიან გახშირდა მიწისძვრები. რამ გამოიწვია ეს და როგორია მსოფლიოში მიწისძვრების სტატისტიკა? რამდენი მიწისძვრა ხდება წელიწადში?

– პასუხი ამ კითხვაზე შეუძლებელია, თუ არ დავაზუსტეთ, რა მაგნიტუდის მიწისძვრებზეა საუბარი. ბოლო 110 წლის სტატისტიკის მიხედვით, უძლიერესი მიწისძვრები მაგნიტუდით 8 და მეტი, წელიწადში საშუალოდ ერთხელ ხდება. რა თქმა უნდა, მიწისძვრების ეს საშუალო სიდიდეა: მაგალითად 2007 წელს ასეთი მოვლენა აღირიცხა 4-ჯერ, ხოლო 2002 და 2008 წლებში – საერთოდ არ დაფიქსირებულა. მეორე მხრივ, მცირე მიწისძვრების (მაგნიტუდით 2-2.9) რაოდენობა წელიწადში მილიონებს აღწევს, ხოლო მიკრომიწისძვრების რაოდენობის დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

დედამიწის ზედაპირს მიწისძვრები განუწყვეტლივ არხევს, მაგრამ ეს რხევები იმდენად სუსტია, რომ მხოლოდ ძალზე მგრძნობიარე ხელსაწყოებს, ანუ სეისმოგრაფებს შეუძლიათ მათი დაფიქსირება. ისმის კითხვა – რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი სუსტი მიწისძვრების შესწავლა? საქმე ის არის, რომ სუსტი მიწისძვრები ყოველდღიურად ასობით და ათასობით ფიქსირდება სეისმოაქტიურ რეგიონებში და ვინაიდან ისინი გარკვეულად ასახავენ დედამიწის ქერქში დაძაბული მდგომარეობის ცვლილებებს, პრინციპში, მცირე მოვლენების ნაკადის დროითი ცვლილებები შესაძლოა, გამოვიყენოთ ძლიერი მიწისძვრის პროგნოზირებისთვის.

– როგორია საქართველოში მიწისძვრების სტატისტიკა და როგორ ხორციელდება სეისმოლოგიური კვლევები?

– საქართველო განლაგებულია ახალგაზრდა ალპურ ტექტონიკურ ზონაში, რაც განაპირობებს ძლიერი მიწისძვრების წარმოქმნას მისი ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე. მისი სეისმურობა უკავშირდება არაბეთის ფილის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დრეიფით (2 სმ/წ) და მის კოლიზიას რუსეთის უძრავ პლატფორმასთან. არაბეთის ფილის მოძრაობა იწვევს კავკასიის ტერიტორიის შეკუმშვას, რის გამოც წარმოიქმნა კავკასიონის მთები, მრავალი ტექტონიკური რღვევა და შესაბამისად, სეისმური აქტივობა. საქართველოს თანამედროვე სეისმურობის მაგალითია თუნდაც 1991 წლის რაჭისა და 2002 წლის თბილისის მიწისძვრები. საქართველოში ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზარალის 75-80% მიწისძვრებთან არის დაკავშირებული. ჩვენში ძლიერ სეისმურ მოვლენებს უძველესი დროიდან დიდი ყურადღება ეთმობა. „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა ძვირფასი ცნობები ძლიერი მიწისძვრების შესახებ დაწყებული XI საუკუნიდან. ამგვარი ცნობები ამჟამად ინტენსიურად გამოიყენება სეისმური საშიშროების შეფასების დროს. ვინაიდან ძლიერი მიწისძვრები საქართველოსა და კავკასიაში იშვიათად ხდება, სანდო ინსტრუმენტული მასალა, ანუ სეისმური ჩანაწერები, მხოლოდ ბოლო საუკუნეშია მიღებული, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, მოვიპოვოთ ცნობები ძლიერი მიწისძვრების შესახებ რაც შეიძლება დიდი პერიოდისათვის. ეს ინფორმაცია განსაკუთრებით საჭიროა ისეთი ობიექტების დაგემვისათვის, როგორებიცაა დიდი კაშხლები, ატომური სადგურები და სხვა საპასუხისგებლო ნაგებობები. ამგვარი ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა ისტორიული ქრონიკები და მიწისძვრების მიერ რელიეფში დატოვებული კვალი – ე.წ. პალეოდისლოკაციები. ბოლო წლებში მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში მომზადდა ისტორიული მიწისძვრების დაზუსტებული კატალოგი ახალი წელთაღრიცხვის 85 წლიდან 1900 წლამდე. გარდა ისტორიული ქრონიკებისა, აქ გამოყენებულია გეოლოგიური მონაცემებიც. ისტორიული მიწისძვრების ახალ კატალოგში არის 8 მიწისძვრა, რომელთა მაგნიტუდა 7-ს უტოლდება. ბოლო ათწლეულებში განვითარდა ახალი დარგი – პალეოსეისმოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს ასეული ათასი წლის წინ მომხდარი ძლიერი მიწისძვრების პარამეტრები. პალეოსეისმოლოგიურ კვლევას ზოგჯერ ძალზე მოულოდნელი დასკვნები მოსდევს – მაგალითად, ჰოლანდიაში, რომელიც ადრე პრაქტიკულად სეისმურად წყნარ რეგიონად მიიჩნეოდა, რღვევის ზედაპირის გათხრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბოლო 30 000 წლის განმავლობაში აქ მოხდა სამი ძლიერი მიწისძვრა მაგნიტუდით 6.2-6.8. საქართველოში ზედაპირული გეოლოგიური კვლევის საფუძველზე აღმოჩენილია რამდენიმე პალეოდისლოკაცია. მათი გამომწვევი მიწისძვრების მაგნიტუდა შესაძლოა, 7-ის ტოლი იყო. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა რღვევის გათხრები, რაც დააზუსტებდა პალეომიწისძვრების მაგნიტუდას და ასაკს. რაც შეეხება ინსტრუმენტულ დაკვირვებებს, მათ 1899 წელს ჩაეყარა საფუძველი. თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმური სადგური ერთ-ერთი პირველი იყო რუსეთის იმპერიაში და ყოველთვის მაღალი დონის კვლევას აწარმოებდა. 2002 წლის თბილისის მიწისძვრის შემდეგ დაიწყო საქართველოს სეისმური ქსელის მოდერნიზაცია და ამჟამად ათეული სადგური ახალი მაღალი მგრძნობიარობის ციფრული ხელსაწყოებით არის აღჭურვილი. საქართველოს ტერიტორიაზე ინსტრუმენტალ პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა მაგნიტუდით 6 ან მეტი, მათ შორის 1991 წ. რაჭის მიწისძვრისა, რომელთა ჩანაწერები არქივში ინახება.

– არის თუ არა შესაძლებელი მიწისძვრების პროგნოზირება, რათა შევამციროთ მათ მიერ მოსალოდნელი მსხვერპლი და ზარალი?

– ზოგადად, მიწისძვრის პროგნოზი გულისხმობს სამი პარამეტრის – კერძოდ, ადგილის, სიძლიერის და დროის დადგენას. დროის სანდო პროგნოზი თუნდაც თვეების სიზუსტით ჯერჯერობით ვერ ხერხდება ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც კი. საბედნიეროდ, საკმაოდ კარგად პროგნოზირდება მიწისძვრების დანარჩენი ორი ელემენტი – შესაძლო ადგილი და სიძლიერე, რაც აისახება ე.წ. სეისმოდარაიონების რუკებში. თუ მშენებლობა განხორციელდება სეისმოდარაიონების რუკის გათვალისწინებით, მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალი მინიმუმამდე დაიყვანება. მიწისძვრების რიცხვისა და სიძლიერის შემცირება ადამიანს არ შეუძლია, მაგრამ მეცნიერებამ გამოიმუშავა ისეთი მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა, შემცირდეს კატასტროფებით გამოწვეული რისკები, ანუ მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალი. მაგალითად, მიწისძვრების რისკის და არა რაოდენობის შემცირება შესაძლოა ანტისეისმური სამშენებლო ნორმების დაცვით. სუმატრას, ჰაიტის და ჩილეს მიწისძვების კატასტროფული შედეგების ანალიზი ბუნებრივად აღძრავს კითხვებს: მოხდება თუ არა ძლიერი მიწისძვრები საქართველოში? შეიძლება თუ არა ამგვარი მოვლენების პროგნოზირება? როგორ უნდა დავიცვათ თავი ამგვარი უბედურებებისაგან? როგორც აღვნიშნეთ, საქართველო მდებარეობს ალპურ-ჰიმალაურ სეისმოაქტიურ ზოლში და ჩვენთან ძლიერი მიწისძვრები ხდებოდა, ხდება და მომავალშიც მოხდება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს დაზუსტებული სეისმური საშიშროების რუკების შედგენა-განახლებას და ამ რუკების საფუძველზე თანამედროვე სამშენებლო ნორმების დადგენას. გეოფიზიკის ინსტიტუტში შეიქმნა თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების ფუძველზე, მაგალითად, დადგინდა, რომ 13-მილიონიან სტამბოლთან ახლოს, მარმარას ზღვაში არსებულ სეისმურ ღრიჭოზე, მომავალ 30-წლიან პერიოდში 70% ალბათობით მოხდება 7-7.5 მაგნიტუდის მიწისძვრა, რომელიც დიდ ზარალსა და მსხვერპლს გამოიწვევს. ამ გრძელვადიანი პროგნოზის გამო სტამბოლში მილიარდობით დოლარი იხარჯება მიწისძვრის ეფექტის შესამცირებლად: ტარდება გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები, მაგრდება ნაგებობები, შეიქმნა ადრეული შეტყობინების სისტემა, რომელიც განგაშს ატეხს დაახლოებით 10 წამით ადრე, ვიდრე მიწისძვრის დამანგრეველი ტალღები ქალაქს მიაღწევს. გარდა სტამბოლისა, გრძელვადიანი პროგნოზების მიხედვით, მოელიან უახლოეს ათწლეულებში ძლიერ მიწისძვრებს სან-ფრანცისკოსა და ტოკიოს მახლობლად. რამდენიმე ავტორი თვლის, რომ მათი გრძელვადიანი პროგნოზი წარმატებული იყო. საქართველოში 70-ანი წლების შემდეგ საკმაოდ ინტენსიური კვლევა მიმდინარეობდა მიწისძვრების წინამორბედების აღმოსაჩენად. შეიქმნა სპეციალური დაკვირვებათა ქსელი. ახლაც რეგულარულად მიმდინარეობს წყლის დონის მონიტორინგი ღრმა ჭაბურღილებში, რომელიც გარკვეული სახის დედამიწის ქერქის მცირე დეფორმაციებზე კარგად რეაგირებს და, მეთოდიკის დახვეწის შემთხვევაში, შესაძლოა გამოდგეს მიწისძვრების პროგნოზისათვის. საინტერესოდ მიგვაჩნია მაგნიტური ველის და წყლის დონის ანომალია 1988 წ. სპიტაკისა და რადონის კონცენტრაციის მომატება 2002 თბილისის მიწისძვრების წინ, თუმცა ეს დამაიმედებელი შედეგებიც მხოლოდ წინასწარ მოკვლევად უნდა ჩაითვალოს.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ სეისმური საშიშროების ალბათური რუკის საფუძველზე სამშენებლო ნორმები დამტკიცდა. ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ჩვენთან მშენებლობები ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშე მიმდინარეობს...

– აქ ძალიან რთულად გვაქვს საქმე. შეიძლება სეისმომედეგი შენობები ავაშენოთ ამერიკული ნორმებით, ევროპული ნორმებიც არსებობს, ჩვენში ორივე მიღებულია, მაგრამ არ არსებობს კონტროლი. ადრე კონტროლდებოდა მაგალითად ბეტონის ხარისხი, არმატურა... თბილისში შენობებზე გთვლილი იყო 7 ბალზე და ასე აშენებდნენ. სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ ბალიანობა გადაიხედა და ერთით მოიმატა, ანუ ახლა მიღებულია, რომ შენობამ 8 ბალის ინტენსივობის რყევას უნდა გაუძლოს. რეალურად რომ შევხედოთ, თბილისში არის უამრავი შენობა, რომელიც აშენდა 7 ბალზე, არ არის გათვლილი 8 ბალზე. არსებობს ორი მეთოდი, რომლითაც შეიძლება ამის დადგენა და გაზომვა. განსაკუთრებით რთულია ძველი ისტორიული შენობებისა და ეკლესიების შემოწმება, გამოცდის მეთოდით თუ განისაზღვრება მათი მდგრადობა, რადგან მაშინ სამშენებლო ნორმები არ არსებობდა. ასე რომ, პრობლემა არის, მედეგობაზე შემოწმება ძალიან ძვირი პროცესია. უნდა შემოწმდეს ყოველი შენობა, დრო რომ გადის, ყველა შენობა ძველდება, უამრავი რამ მოქმედებს მის მდგრადობაზე, რუკაზე მითითებული საშუალო ბალიანობა გრუნტზეა გათვლილი, ამიტომ თუ გრუნტი სუსტია,ბალიანობა იქ უფრო მატულობს. ეს მხარეც შესასწავლია. სხვათა შორის, ხელისუფლების წინაშე ეს საკითხი უამრავჯერ დავაყენე. დასრულდა მუშაობა თბილისის გენგეგმის შედგენაზე, პრაქტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გენგეგმის შედგენის წინ უნდა ჩატარებულიყო გეოფიზიკური მეთოდებით გრუნტების შეფასება, რომელიც არ არის ძალიან ძვირი და შესაძლებელია, საკმაოდ სწრაფად გაკეთდეს. ამის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს შემდეგ მშენებლობები. თუ გრუნტი სუსტია, იქ უკვე აღარ არის 8 ბალი და მოთხოვნა იზრდება. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა.

– ზოგადად, სწავლულებს თუ გეკითხებიან სახელმწიფოს მესვეურები აზრს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზედაც მუშაობთ?

– სამწუხაროდ, ნაკლებად. მაგალითად შეიძლია გითხრათ, რომ როდესაც ბატონი ნარმანია მერობის კანდიდატად წარადგინეს, ჩვენთან აკადემიაში მოვიდა. შეხვედრაზე ერთ-ერთ საკითხად წამოვწიე ის, რომ გენგეგმის შედგენამდე უნდა ჩატარებულიყო გრუნტების გეოტექნიკური შეფასება. მერი რომ გახდა, წერილიც მივწერე, პასუხიც მივიღე, როცა დაგვჭირდებით, მაშინ მოგმართავთო. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ, არავის მოუმართავს. მხოლოდ გეოლოგების გრუნტებზე ზემოდან დახედვა საქმეს არ უშველის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა ხდება დიდ სიღრმეში, რის ზუსტად დადგენა შესაძლებელია მიკროსეისმური გეოფიზიკური მეთოდებით.

ესაუბრა
შავლეგ ბერიძე

რედაქციისგან:

ასკეცად გვიჯობს, გავწიოთ ჭაპანი ერისკაცისა!..

52 **წლის** წინათ, დიდი ზეიმით რომ აღინიშნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი, ამ თვალადური სტრიქონების ავტორს თამაზ ქვლივიძეს გაუჩნდა სურვილი 800-სტრიქონიანი ლექსი მიეძღვნა რუსთაველისთვის, რის გამოქვეყნებაც შესავლის სახით (და არა სრულად) დააპირა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისას უნივერსიტეტის გაზეთში, მაგრამ ვერ გაბედა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვაითუ, ქართული სიტყვის დიდოსტატისთვის საკადრისი საჩუქარი არ გამოსვლოდა.

ახლა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ნაფიქრალით, ავტორმა გადაწყვიტა, შეასრულოს ჭაბუკური ოცნება და გამოაქვეყნოს უკვე 850 სტრიქონი და ორიგინალური საჩუქარი მიუძღვნას 850 წლის გენიალურ შოთა რუსთაველს. თამაზ ქვლივიძისეულ 295 სტრიქონს 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 2018 წლის თებერვლში მკითხველი გაეცნო გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „ქრონიკა“. შემდგომ იყო „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“...

დღეს გთავაზობთ 130 სტრიქონს, რითაც ავტორი სანახევროდ ასრულებს „საჩუქარს“. დარჩენილ 425 სტრიქონს უახლოეს ხანებში შემოგთავაზებთ.

თამაზ ქვლივიძე ცნობილი მეღვინე-მევენახე და ამ დარგში გამორჩეული ახალი ტექნოლოგიების დამნერგავია. მისი გამოგონებებისადმი დღევანდელი და წარსული ხელისუფლებებისგან ჩვეული უყურადღებობის გამო, ბატონმა თამაზმა საგარეჯოში ვენახის ახალი მეთოდებით დამუშავების, ქვევრში ღვინის დაყენების საჩვენებელი მამული მოაწყო და ყველა ღირსეულ გუთნისდედას უზიარებს საკუთარ გამოცდილებას. ბოლო დროს თამაზ ქვლივიძე ქართული კულტურის, ქართული პოეზიის დიდი ქომაგი გახდა და მრავალი ძარღვიანი, გულში ჩამწვდომი სტრიქონი მიუძღვნა ჩვენს წარსულსა და დღევანდელობას...

წაიკითხეთ ეს გულწრფელი სტრიქონები და თავად დარწმუნდით, თუ რა შორს მიმავალი პოეტური გეგმები აქვს ამ ორიგინალური ხელწერის შემოქმედს.

ვით ნორჩი ყლორტი ვაზისა ჩაეჭიდება მავთულსა,
ერი მისებრად ეკვრება „ვეფხისტყაოსანს“ ჩაწნულსა,
მტერიც რომ ამას აკეთებს და აღიარებს ამ წნულსა,
ცოცხლად მიტომაც გიცქერით დღესაც, ფიქრებში გართულს.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ხან მიწა მოვაგორაკე,
ხანაც ვენახი გავხადე ქვეყნისთვის სალაპარაკე,
აწი კი მინდა, ვაქციო მგოსნების სააგარაკე,
რომ სიამაყით ამოვთქვა — შოთაც კი ვალაპარაკე.

სიტყვის ოსტატმა თვის რითმით დღესაც იუბნოს მამულზე,
წუთისოფლის გზასავალზე, წინაპრების ნავალ კვალზე,
ერზე, ვაზზე, ასპარეზზე და სანატრელ მომავალზე,
ამაღლებით რომ ვიაროთ, ამ საოცარ მიწა-წყალზე.

რუსთაველსა გულით სწადის, უჯილაგო იმას მიხვდეს,
მან სიახლე თუ იხილა, არ დაღონდეს და არც წახდეს,
გაიაზროს, იმოქმედოს და მომავალს აკვნით შეხვდეს,
თუ გვინდა, რომ ნეტარების საწადელი მართლაც ახდეს.

ოქროს ხანიდან მოვდივარ შოთა ბევრისა მნახველი,
და სურვილი მაქვს მოგითხროთ გმირების საქმე ძირძველი,
ჭეშმარიტებით გიამბოთ წინაპრებისა ყოველი,
და თამარისა ამბავი, საქმენი გასაკვირველი.

ჩემ დროს ასანთიც არ იყო, არა თუ ავიაცია,
მაგრამ ქართველმა სამშობლო ისეთ ქვეყანად აქცია,
სულ გააოცა მსოფლიოს სხვადასხვა მძლავრი ნაცია,
იმგვარად, რომა ეპოქა უჭკნობად გადააქცია.

მთელმა სამყარომ იხილა მამაც ქართველთა ტომები,
მანდილოსანმა ვით სძლია გაუგონარი ომები,
ქვეყანას ჩამოაცილა ხარბი და ავის მდომები,
მეფის მიბაძვით მებრძოლნიც ომობდნენ როგორც ლომები.

ერთხელ, როცა ბასიანში მტრისა ჯარი შემოვარდა,
მოყვრის ცხენი წაბორძიკდა და მხედარი გადმოვარდა,
თამარმა რომ დაინახა, მის საშველად წამს მივარდა,
იმ მხედარსა ის ტკივილი იმ წუთშივე დაუამდა.

მეფის ამგვარმა ქმედებამ ლაშქარი აღაფრთოვანა,
ერი ერთ მუშტად შეკრა და ერთგულება შთააგონა,
ყველამ ერთად უფრო მეტი სასიკეთო მოიგონა,
და კიდევაც რისხვა მტერსა საარაკოდ გააგონა.

ძველი ამად გაგახსენეთ, ერთობა თუ დამკვიდრდება,
სიბოროტე და ღალატი სამუდამოდ მოგვშორდება,
ერი ბრძოლის ასპარეზზე მამაცურად აღიზრდება,
სამომავლოდ საამაყოდ გმირიც ბევრი გაიზრდება.

თამარი იყო დიადი, სპეტაკი მანდილოსანი,
ხელმწიფე გვირგვინ-უჭკნობი, ნამდვილი გვირგვინოსანი,
მის სიტურფეს მივუძღვენი, ჩემი „ვეფხისტყაოსანი“,
რამაც უკვდავად მაქცია, სამეფო კარის მგოსანი.

გმირ წინაპართა ბილიკზე ერი რომ მეტად ნათობდეს,
და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს,
ქმედება გვინდა ისეთი, მზისდაგვარადა დარობდეს,
და ქვეყნის მთავარსარდალი, სამაგალითოდ სარდლობდეს!

გულდაწყვეტილმა ვიხილე შემცირებული თაობა,
განა ამისთვის იღვწოდა ქართველთა ერისკაცობა?
უფრორე მეტად დავღონდი, რომ ვერ ვიხილე ერთობა,
და სიყვარულის მაგიერ თვალს მოხვდა კაცთა მხეცობა.

ღრმად ჩაუკვირდით, რას ნიშნავს გადახვეწილი ქართველი,
ან მილიონი ვაჟკაცი შთამომავლობის მომრთველი,
მიზეზი მხოლოდ ისაა, კაცმა ვერ ჰპოვა მფარველი,
ჩვენმა სამოთხემ მმართველი — მარგალიტების მთესველი.

კაცი ახალსა იძახდეს, დიდი ბრობლემა წყდებოდეს,
ეს არ ესმოდეს რეგვენსა, ბირიქით, აქეთ წყრებოდეს,
ვაზის სამშობლოს რა ვუთხარ, სიახლით არა ტკბებოდეს,
და ქვეყნისათვის საამო ვაზის ფესვებში ჭკნებოდეს.

ამ სიტყვებსა ბრძენი ამბობს, თანაც შოთა რუსთაველი,
არა ვიღაც მაჩანჩალა, თავის-თავის დამღუბველი,
ვარ ქართველი, რომ გაჰკივის მაცდური და არა ქველი,
სხვაგანაა, სხვაგან იღვწის საქართველოს დამქცეველი.

ვძებნე და ვპოვე საშველი მამულის გულისცემისა,
სიახლე არის მთავარი მომავლის გამოჩენისა,
უპირველესი არსება ამ წუთისოფლის ჩენისა,
გზებია გასაკაფავი სამშობლოს გადარჩენისა.

ვაჟკაცთ უხდებათ სიკეთე, რაც აძლიერებს ძარღვ-მკლავებს
ეს აბოროტებს მაცდურებს, წარჩინებულის მტანჯავებს.
ფუ, გარეწარსა ყოველსა, კეთილს ვინც დაახურდავებს
და ქვეწარმავლურ სიავით, ქველ ამაგს გაუნიავებს.

სადარდებელი ესაა, ვისწავლოთ კარგის გარჩევა,
ავაღორძინოთ ღირსება და შეისმინოთ თქვენ რჩევა,
მიმიხვდით ალბათ წადილსა, ყველაფერს შვენის შერჩევა,
ვენახებს რთველი უხდება, რქაწითელს კიდე მორჩევა.

მომავალზე ცოტას ფიქრობთ, საქმე ვერა აგიწყიათ,
არ წუხდებით, ამიტომაც არაფერი მოგიგიათ,
მხოლოდ ერთი მომეწონა — სამება რომ აგიგიათ,
მაგრამ მაინც ხალხისათვის ყველა კაი წაგიგიათ.

ნუ დაჩლუნგდებით, ნუ ითმენთ, რაც სახვალიო მტვერია,
აამოქმედეთ ის სიბრძნე, თქვენთვის, რომ დამიწერია,
„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია,
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია“.

აი, ეს არის პასუხი ძველ და დღევანდელ მტრებისა,
მწადის, გვარებიც გაცნობოთ ერთეულ გარეწრებისა,
მაგრამ არ ვიზამ ამასა, ჟამია შერიგებისა,
სჯობს შეკავება თავისა, ზოგ რამის მოგვარებისა.

— შოთას ნათქვამი აზრები მთელ დედამიწას რომ სწვდება,
ცაში კი სვიან ვარსკვლავსაც დიდ სიამაყით ასწვდება,
ასეთი კაცის სიტყვები სუყველას მადლით მისწვდება,
მთლიანი ნამოქმედარი წინაპართ საფლავს ჩასწვდება.

— კაცსა რადგან ის უხარის, რაცა გულსა იამება,
ამიტომაც მოვისურვე, ვინახულე მე სამება,
დავილოცე იმდაგვარად, მრევლი გამომყვა, ჩამება,
მათი ხილვა და ხალისი გულზე სიამით მომება.

მოწმე ვარ ჭირ-ვარამისა, მით უფრო რაინდობისა,
ფათერაკისა მნახველიც და საამაყო ძმობისა,
ავის და კარგის გარჩევის, ბევრი ჭირისა თმობისა,
საქართველოს შენების და ოქროს ხანისა წყობისა.

გზა ბოროტისა მოკლეა, ვაება-ცოდვა შარშია,
კარგ საქმეს მუდამ დასცინის, ქველ კაცთან მუდამ შუღლშია,
ერისკაცობას იბრალებს, ჯობს რომ დაიჭერს ხელშია,
სულ ფაციფუცობს და მაინც წუთისოფელთან ვალშია.

კაცსა შვენის მამაცური კარგი საქმის საუბარი,
ვით წინაპართა ნაღვაწი, რითაცაა საქებარი,
სჯობს დღეიდან დიდ-ჰატარა, გახდეს ქველად თანაბარი,
რომ არასდროს აღარ ვიქცეთ სხვა ქვეყნისა ანაბარი.

უფალს ვენუკვი ქვეყნისთვის და არა ჩემი გულისთვის,
ეს ლექსი ყველგან მივიდეს სათაყვანებლად მოყვრისთვის,
ერმა და ბერმა იფიქროს ხვალის უკეთეს წყობისთვის,
რომ საქართველომ ილხინოს დედამიწაზე ყოფნისთვის.

გულს მიხალისებს ვენახი, ვაზი უფლისგან მორთული,
გულით მოსული სტუმარი, ადათ-წესებით გართული,
სუფრა, ქეიფი, მარანი და სიმღერები ქართული,
ყველა წმინდა და საამო, „მრავლჟამიერ“ ჩაკრული...

დედაქალაქს შემოვედი, მუხლი უმალ მოვიყარე,
ვინახულე ყველა მოყმე, მეგობრობა გავამყარე,
მთავარ გამზირს რომ მივადექ, სიყვარული დავამყარე,
იქვე ძეგლი რომ ვიხილე, კვლავაც ფიქრებს შევეყარე.

დავით-გარეჯს დავილოცე, რომ შევედი საგარეჯოს,
სამი ნატვრა გულს დამესვა - კაცი ქველად გაისარჯოს,
არასოდეს არავისთან სიბოროტე არ დახარჯოს,
საქართველოს ყველა კუთხეს ზეცის ძალით გაუმარჯოს!

— ამ ლექსით გავთამამდები, სუყველას შევესიტყვები,
მეგზურობასაც გავუწევ, თვითეულ ვაზთან მივყვები,
ხვალის ვენახის სიკეთეს დაგრეხილ ვაზთან მოვყვები,
სამშობლოს განდიდებისთვის, კვლავაც ბევრი მაქვს სიტყვები!

სიტყვები ბადაგიანი, ბადაგის არსი რაც არი,
არ შემიფასოთ ეს ლექსი გულწრფელად დასაფიცარი,
რადგან ჯერ კიდევ ვაზროვნებ, ჭაბუკობს გულის ფიცარი,
ოთხასი სტროფით წინ არის პოემა გასაოცარი.

თამაზ ქვლივიძე
599-10-43-18

ორიოდე თვის წინათ ტელეკომპანია „იმედში,“ პროფესორ ალიკო ცინცაძის ინტერვიუს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. გადაცემის რესპონდენტის თქმით, ჩვენ ახალი აღმოჩენის (ქართული ჰემატრია) მომსწრენი ვართ, რომელიც თავისი მასშტაბით ტოლს არ უდებს ლურსმული (შუამდინარეთი) ან იეროგლიფური (ეგვიპტე) დამწერლობების გაშიფვრას და ძირეულად ცვლის ცივილიზაციის, სარწმუნოებისა და საქართველოს ისტორიასაც. რაც მთავარია, მეტად საინტერესოდ წარმოაჩენს უძველეს იბერიას. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომელიც აქამდე „დუმილის უფლებას“ იყენებდა, ამ რეზონანსულმა ფაქტმა, მოულოდნელად გააააქტიურა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე შეეცადა, ეპასუხა ავტორისთვის. ახლა მოვუსმინოთ მეორე მხარეს. ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი შეხვდა ბატონ ალიკო ცინცაძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

...ეს ზღაპარი კი არა, სრული ჭეშმარიტებაა!

როგორი აკადემია გვინდა?!

ალიკო ცინცაძე: სანამ კითხვას დამისვამდეთ მინდა, განვაცხადო, რომ კაბალას მეცნიერული შესწავლა არ ნიშნავს კაბალისტობას, ხოლო ძველ ქართულში მისი კვალის მოძიება ზუსტ მეცნიერებებზე დაყრდნობით მოვახდინე, რაზეც გადაცემაშიც ვთქვი. ჩემთვის კაბალა, ან ჰემატრია კვლევის ობიექტია და არა მეთოდი. მეთოდოლოგიად იგი ენათმეცნიერთათვის უნდა იქცეს, რადგან მისი გამოყენებით ჩვენმა წინაპარმა თავისი მსოფლაღქმის მოდელი დაგვიტოვა. ყველა მცდელობა ლოგიკურად მწყობრი და ალბათურად საიმედო შედეგები „ფსევდომეცნიერების“ ნიშაში გადაიყვანონ, სწორედაც რომ მკითხველის დეზორიენტირებას ისახავს მიზნად.

— ბატონო ალიკო, როგორც შევთანხმდით, ჩვენ გადაცემა „სხვა რაკურსში“ თქვენს გამოსვლას და მასზე გამოხმაურებას უნდა შევეხოთ.

— დიახ, ჰემატრია, რომლის თაობაზე მქონდა ინტერვიუ, ბიბლიის გაშიფვრის ცნობილი მეთოდია. ქართულ სინამდვილეში მისი გამოყენების არაერთი მცდელობა იყო. 1980 წელს ბატონმა თამაზ ჩხენკელმა გამოაქვეყნა პირველი კვლევის შედეგები, შემდეგ პროფესორმა რამაზ პატარიძემ გამოიყენა მცირე ფრაგმენტი. თუმცა ხსენებულ მეცნიერებს ჰემატრიის არც გამოყენების წესები აღუდგენიათ და არც მისი ძველ ქართულში არსებობა დაუმტკიცებიათ, მაგრამ შეუმცდარი მეცნიერული აღღოთი სწორად მოიხმარდნენ მას. არასწორად ჰემატრიას არაერთი იყენებდა... რაც შემეხება მე, თავდაპირველად, ჩემთვისაც მოულოდნელად, ძველი ქართული ლექსიკის უკან ერთგვაროვან რიცხვულ სქემას მივაკვლიე. შემდეგ აღმოვაჩინე ებრაული და ბერძნული კაბალა, უცხოელ მეცნიერთა შედეგები ამ მიმართულებით და როგორც ზუსტი მეცნიერების დარგის სპეციალისტმა გავაგრძელე ძიება. ბოლოს, 2010 წელს გამოვაქვეყნე კიდეც, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრის პირველი მცდელობის შედეგი (ინტ. საკ. ერ. სააგ. 4044), 2013 წელს — უკვე სრულყოფილი კვლევა: „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“. აქ, უკვე ქართული ჰემატრია აღდგენილი მქონდა. ვიმეორებ, ქართული ჰემატრიის არსებობა (თანამედროვეობაში) იწყება იმ დღიდან, რაც ჩვენ მისი არსებობის ალბათური მტკიცება შევძელით და აღვადგინეთ წესები, ეს 2014 წელია. თუ სხვა ხალხთა ჰემატრიული ძიებებში სჭარბობს ეზოთერული მომენტები, ჩვენ, მასში ალბათობის თეორიის ჩართვა შევძელით და კვლევები მეცნიერულ საფუძვლებზე გადავიტანეთ, ეს გადამწყვეტი ფაქტორია. ამის შესაძლებლობა რეალურად დაშიფრულმა გზავნილმა მოგვცა. ამით განსხვავდება ქართული კაბალა სხვებისგან. გამოვიდა კიდეც ამ საკითხებზე წიგნი **„ქართული ჰემატრია“,** (2015). სამწუხაროა, რომ საქართველოში კანონი აღმოჩენის თაობაზე არ გვაქვს, მაგრამ, თუ ვინმე ვერ ხვდება, რომ ეს აღმოჩენაა და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მისი პრობლემაა. რაც შეეხება ჩემი ოპონენტობის მსურველებს. ასეთმა ენათმეცნიერებმა დაამახინჯეს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი, არაერთხელ ჩაასწორეს და თავის თავზე მოირგეს იგი.

— ხელნაწერის რა დამახინჯებაზეა საუბარი?

— არაერთხელ აღ ვნიშნე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, გაყალბებულია იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.** სამაგალითოდ მოგვაქვს 1979 წელს გამოცემული „ძვ. ქართული პოეზია“-დან (15 ტომად, ტ.1, გვ. 72-3) ადგილები: „და სასწაულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი... მოწამებ წარმოგითხარ, ას-ოთხი ესე წელი და წილი ანბანისაი“. ამ დროს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში წერია (მისი სამი ხელნაწერია შემორჩენილი, სინ. 32, სინ. 34, სინ. 38 და სამივეში ეს ადგილი ერთი და იგივეა): „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი... მოწამედ წარმოგითხარ ასი ესე წელი ანბანისაი.“ ხედავთ განსხვავებას? ამ დროს დაშიფვრისას თითოეულ ასო-ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს ამ ხელნაწერზე მომუშავე ენათმეცნიერთა მცდელობაა, თავის თავზე მოირგონ ხელნაწერი, რომელსაც უნებლიეთ თანამონაწილედ უხდება „ქართული პოეზიის“ ტომეულის სარედაქციო კოლეგია. იბადება კითხვა, ამ ხელნაწერთან მიმართებაში, რომელიც ლაზარეს ხსენების შაბათს ეკლესიებში იკითხება, რატომ დაივიწყა ენათმეცნიერებამ ძველი ბიბლიური ჭეშმარიტება: „წერილის ყველა ასო დათვლილია“? შემთხვევით მოხდა ეს თუ გამიზნულად? იმიტომაც ხომ არ ბრძანა ერთმა მათგანმა: „იოანე-ზოსიმეს ყველა თაობა, როგორც უნდა ისე წაიკითხავსო“. ეს შეცდომები თუ ძველი თაობის ენათმეცნიერთაგან სწორი გზის ვერ მიგნებით, უნებლიეთ მოხდა, ახალმა სწორი გზა იცის, მაგრამ შეგნებულად მალავს მას... რატომ? მაგრამ გამყალბებელთა მცდელობა აქ არ დამთავრებულა.

— იქნებ, კიდევ უფრო გავხსნათ ფრჩხილები?..

— სიამოვნებით, XX საუკუნის 80-იან წლებში, მაშინ, როცა რ.პატარიძის კვლევის გამოქვეყნება დაიწყო, უცბად... „აირია“ იქამდე საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად დალაგებული ქართული ანბანური სისტემა (ასოთა რიგითი სათვალავები, რიცხვ-მნიშვნელობები, სახელდებები). მიზეზი არავის განუმარტავს, მაგრამ მისი გამოცნობა არ გახლდათ რთული, რადგან სწორედ მასზე დაყრდნობით მოიცემა „მზის უზუსტესი ქართული კალენდარი.“ თუ ანბანური სისტემა თავის თავდაპირველ ვერსიაში არ იქნება, ანუ ისე, როგორც შესაქმეს დროს იყო და ჩვენამდე სულხან-საბასეულმა „სიტყვის კონამ“ მოიტანა, მაშინ რ. პატარიძის აღმოჩენა უფასურდება, მცდარი ხდება ხელოვნურად. ერთმა ძალიან ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, რომელიც რ. პატარიძის აღმოჩენის მოწინააღმდეგე გახლდათ, პირველმა შეგნებულად არეულად გამოაქვეყნა ანბანური სისტემა. მის ანბანურ ცხრილში მაგ.: ასო „წ“ (31 — წ. — 4000) 31-ე ადგილზე კი არაა, არამედ 32-ეა. ამან ძირეულად დაარღვია დაფარული გზავნილის ამოკითხვის შესაძლებლობა. შეცდომა შეფარულად გაიმეორა „ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ“. იქ ჯერ ჩამოთვალეს ასოები, მერე აღწერეს რიცხვების გამოხატვის პრინციპი: „ასოებით რიცხვების გამოხატვის წესი ემყარებოდა შემდეგ პრინციპს: პირველი 9 ასო გამოხატავდა ერთეულებს, მეორე 9 — ათეულებს, მესამე 9 — ასეულებს..“ აქ ერთი, ვითომც უმნიშვნელო ლაფსუსია, ასო ნიშნებში შეპარებულია „ვიე“ („ვე“ — სულხან-საბას მიხედვით), რომელიც, როგორც რიგითი სათვალავისა და რიცხვ-მნიშვნელობის არმქონე სულხან-საბას ბოლოში აქვს განთავსებული, ანუ ენციკლოპედიის მიხედვითაც, ირევა ანბანური სისტემა, მაგ.: იგივე „წ“ 32-ეა და რიცხვ-მნიშვნელობით 5000. და ისევ შეუძლებელი ხდება ანბანური სისტემით გამოგზავნილი დაფარული გზავნილის ამოკითხვა. მაშინ ამ გამყალბებელთა ჩანაფიქრმა ვერ იმუშავა, რადგან საზოგადოებას კარგად ახსოვდა იქამდე ცალსახად ერთი სახის ანბანური სისტემა და ცოცხალი იყვნენ პატიოსანი ქართველი მეცნიერებიც, მაგ. ილია აბულაძე (იხ. მისი „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“). ქართული ჰემატრიის აღმოჩენამ და მისმა ალბათურმა დადასტურებამ გამოაჩინა, რომ ანბანური სისტემა თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც ინფორმაციის დაფარვის მატრიცა და მცდელობა, გაყალბონ იგი, აქტუალური გახადა. მაგ. 2008 წელს გამოცემულ „ძვ. ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში“ წიგნის ბოლოში მოცემულია ცხრილი, რომელშიც ყველაფერი ისევ არეულია.



— გასაგებია, მოდით, თქვენთან გაჩენილ შეკითხვებს მივუბრუნდეთ.

— ნუ ხვდებიან ამ სიახლეს არაკეთილმოსურნის როლში. ამ მიგნების მერე ხომ გამომჩნდა, რომ ჰემატრიას ვერ მიაკვლიეს, მართლაცდა ქართული ენათმეცნიერების კორიფეებმა?! რამე დააკლდათ? განა მათ საფუძველი არ მოამზადეს? მათ შედეგებზე დაყრდნობით, ჩვენს თაობას წილხვდა ბედნიერება, ამ შედეგებამდე მისულიყო, და ეს ჩვენი საერთო წარმატებაა. ასეთი შესავალი არ მინდა, ისე გაიგოს ვინმემ, თითქოს, მეცნიერებაში რაიმე შეღავათს ვითხოვდე, არა!

ერთი თვალსაჩინო მაგალითი განვიხილოთ მათი შენიშვნებიდან: მზე დედამიწიდან დამკვირვებლისთვის ერთ წერტილში რომ არ ამოდის და გადაიხრება, ამაში შეაქვთ ოპონენტებს ეჭვი, არადა, ეს ელემენტარული ასტრონომიული ჭეშმარიტებაა. ვთქვათ, ასტრონომიის სასკოლო სახელმძღვანელოში არ წაგიკითხავთ, ცაზე ვერ ხედავთ ამას? მაგრამ ეტყობა, აკადემიის კაბინეტიდან არ ჩანს. უფრო სერიოზულად კი, მზის გადახრა ილუზიაა, იგი გამოწვეულია დედამიწის ბრუნვის ღერძის, იგივე დედამიწის მზის გარშემო ორბიტის სიბრტყისადმი (ეკლიპტიკა) დახრილობით. ისე ჩანს, რომ მზის ამოსვლის წერტილი ერთი ბუდობიდან მეორე ბუდობამდე 47 გრადუსიან რკალს ხაზავს, ეს 6 თვეში და მეორე 6 თვეში — უკუ მიმართულებით იმეორებს მას. ეს წერია „ქართულ ენციკლოპედიაში („მზე“), წერია ყველა ენციკლოპედიაში, რომელზეც კი ხელი მიგვიწვდება, მარტივად უწერია ა. გასვიანს („სამყაროული მოძრაობა“, 2010), დეტალურად აქვს განხილული ზაქარია სიტჩინს („კოსმიური კოდი,“ 2006, გვ. 5). მცირე განმარტებას გავაკეთებ ასტრო-ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით, რადგან ამან ეტყობა, ოპონენტები ძალიან შეაწუხა და მას ენციკლოპედიაში ვეღარ მოძებნიან. თუ ლოკერის მიერ შემოტანილი „ასტრო-არქეოლოგია“ სწავლობს მნათობთა პარამეტრების მიხედვით პირამიდების, მეგალითური ნაგებობების და ტაძრების არქეოლოგიურ ნაშთებში ჩარჩენილ კვალს, „ასტრო-ენათმეცნიერებამ“ უნდა შეისწავლოს ძველ ენებში მნათობთა პარამეტრების რელიქტიური კვალის არსებობა; რაც მთავარია, იგი არსებობს! თუ ებრაულსა და ბერძნულ ლექსიკაში მისი ჩანასახია, ძველ ქართულში იგი იმდენად ძალუმია, ძალიან უნდა მოინდომო (როცა მიგითითებენ), რომ ვერ დაინახო. თუკი საქართველოში არსებობს ასტრო-არქეოლოგიის კათედრა (ილიას უნივერსიტეტი), იმ პერიოდის ლექსიკის შემსწავლელი ასტრო-ენათმეცნიერების არსებობაში რა არის გასაკვირი?! აკადემიის ცალკეულ წარმომადგენლებს რამდენჯერმე ჰქონდათ ჩემთან ერთად ასეთი კვლევის ცენტრის გახსნის სურვილი, რა თქმა უნდა, კვლევის სათავეში მათი ჩართვის სანაცვლოდ, მაგრამ არ დავუშვი. ასტრო-არქეოლოგიის შემოქმედი სერ ჯ.ნ. ლოკერი სამეფო აკადემიის ნამდვილი წევრი, პეტერბურგისა და პარიზის აკადემიების საპატიო წევრი იყო, როცა ამ ფაქტის აღიარების „გოლგოთის გზას“ დაადგა, და მაინც 30 წელი გაიჭიმა ეს პროცესი. იქნებ, ასტრო-არქეოლოგიაც ფსევდომეცნიერული აზროვნების შედეგია?

უფრო დეტალებშიც ჩავიდეთ, რადგან სწორედ იქ გვხვდება ასტრო-ენათმეცნიერების მაგალითები. თუ ოპონენტები დაგვეთანხმნენ, რომ მზე 47-გრადუსზე გადაიხრება, 47 ქართულში, რომ ანბანურად „მზ“-თი ჩაიწერებოდა, მგონი, საკამათო აღარაა. როცა ციფრები არ არსებობდა, რიცხვთა პოზიციური ჩაწერის ნაცვლად გამოიყენებოდა შეკრებითი მეთოდი, ანუ 47-ის ჩასაწერად უნდა აეღოთ 40 — „მ“ (ასო-ნიშანი) და დაემატებინათ მისთვის 7 — „ზ“, 40 + 7 = 47, „მზ“. ამიტომაც ეძახიან ზემო სვანეთში დღესაც „მზე“-ს ასე — „მზ“, ხოლო ის არე, რომელსაც ეს ნათელი ადგებოდა, „მზარე“ იყო, რასაც ადასტურებს კიდეც „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“: მზარე — მზით განათებული ადგილი. ასე იქმნებოდა ძველი ქართულის უმთავრეს ლექსიკაში არსებითი სახელები. ასე, ქართულ ანბანზე და მნათობთა პარამეტრებზე დაყრდნობით, ქმნიდნენ „ცის მზომელები“ ქრისტემდელ პერიოდში უმთავრეს სარწმუნოებრივ ლექსიკას.

> ნებისმიერ ჩემი ოპონენტობის მსურველს ვთავაზობ, მიიღოს ჩემი მიწვევა ღია სატელევიზიო ეთერში, სადაც მე ჰემატრიის არსებობას დავამტკიცებ, მან, თუ არგუმენტი ექნება, უარყოს ის (ასეთი არგუმენტი ბუნებაში არ არსებობს, თუმცა, რა ვიცით, იქნებ ალბათობის თეორიის, მათემატიკის ამ ფუნდამენტური, 300-წლოვანი დარგის, უარყოფას აპირებენ და ჩვენ სიამოვნებით მოვუსმენთ). გადაცემის მერე შევაფასოთ, ვინ მეცნიერია და ვინ ფსევდომეცნიერი.

— ბატონო ალიკო, იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რაზეა საუბარი?

— მიაქციეთ ყურადღება, ჩემი ოპონენტობის მსურველებმა, როცა სამეცნიერო ავტორიტეტები მოიშველიეს, იქ ივ. ჯავახიშვილი კი ახსენეს, მაგრამ ს.ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი „გამოტოვეს.“ საქმე იმაშია, რომ სწორედ ამ სამი ავტორის წიგნი: „საქართველოს ისტორია,“ როგორც ეროვნული მუხტის შემომტანი, 1956 წლიდან ამოიღეს სწავლებიდან და შემდეგ, საქართველოს ისტორიის „გეგმა“ კრემლის კაბინეტებში დგებოდა. ქართველი ისტორიოგრაფები კი ბეჯითად ასრულებდნენ ამ დავალებას. ასე, ქართველთა ხელით, მოჰპარეს

საქართველოს მინიმუმ 2000-წლიანი ქრისტემდელი ისტორია. სწორედ ეს დოკუმენტაცია გამოამზეურა ბ-ნმა პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელმა. ჩვენი შედეგები კი ორგანულად ჯდება ამ სახელმძღვანელოს ზოგად დასკვნებში, რადგან ორივე, თუმცა განსხვავებული რაკურსით, მაგრამ ერთი რეალობის ასახვაა.

აქვე შემიძლია, არაერთი ქართველი და უცხოელი, მართლაც ენათმეცნიერისა და ისტორიოგრაფის ციტატა მოვიტანო, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციაში შუამდინარეთისა (შუმერი, ქალდეა) და დიდ იბერიის განსაკუთრებულ წვლილზე მეტყველებს. ბოლოს და ბოლოს, გრაკლიანზედაც ხომ წააწერა ვიღაცამ, საყდრისშიც ხომ მოიპოვებდა 6000 წლის წინათ ვიღაც ოქროს, ქვემო ქართლშიც ხომ ამზადებდა 8000 წლის წინათ ღვინოს, ხომ შექმნა ლითონის, თითქმის, ყველა სახეობის მიღების წესი... თუ ქართველი კაცი იჯდა და მარტო ცეკვა-სიმღერით ერთობოდა?

მე საჯარო ლექციებით (მათი მიწვევით) დავდივარ საქართველოს კუთხეებში და კარგად ვიცი რიგითი ქართველის გულისთქმა, იგი კიდევ მეტ შეჭირვებას მოითმენს, ოღონდ მის იდენტობას, ტრადიციულ ღირებულებებს, ისტორიას ნუ შეეხებიან... ზღაპარიც რომ იყოს, ის, რასაც ვამბობთ, ასეთი ზღაპარიც კი სჭირდება დღეს ბალავარმოშლილ ქვეყანას. მითუმეტეს, როცა ეს, ზღაპარი კი არა, სრული ჭეშმარიტებაა. დადგება დრო, ქართულ და მსოფლიო სამეცნიერო სივრცეებს, ამის აღიარება მოუწევთ. მეც მიჩნდება კითხვები მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან დაკავშირებით და იქნებ მომცეთ უფლება აქვე დავსვა.

— სიამოვნებით გისმენთ!

— ერის თვითიდენტიფიკაციის გამომხატველი მოდელის შერჩევაში აკადემიამ ხომ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა? როცა ქვეყანას სამაგალითოდ სინგაპური დაუსახეს, აკადემიას ხომ უნდა ამოეღო ხმა? ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მოდელის შერჩევაში აკადემია განმსაზღვრელი უნდა იყოს და არა შორიდან მაყურებელი. დღეს, კულტურული მემკვიდრეობის არცერთი დარგი თეორიულად სრულად შეფასებული არაა. ბოლოს და ბოლოს, განათლების სისტემაში სასწავლო დისციპლინებში შესატან საკითხებში ხომ უნდა დამყარდეს წესრიგი? აკადემია, მისი უმოქმედობაა ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზე ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუციონალური პასუხისმგებელი. საერო საქმეებში იგი მთავარი ექსპერტის როლში უნდა იყოს, და არა შორიდან მაყურებელი, ან თავიანთ კეთილდღეობაზე მზრუნველი. აკადემია ბრძენთა საკრებულო უნდა იყოს, რომლებიც მთავარ და შეუვალ ექსპერტებად გამოვლენ ყველა საერო საქმეში... ბერივით რომ უვლიან ქვეყანას გარს და ხეჭეჭურის ნერგს ახარებენ, არა თავისთვის, არამედ მომავალი. ასეთი აკადემია გვინდა გვქონდეს?!

ბოლოს, მინდა, გავიხსენო ერთი სევდიანი, თბილისში მოარული ლეგენდა თუ შეგონება: მეოცე საუკუნის სამოციან წლებში აკადემიის შენობაში (იგი განთავსებული იყო იქ, სადაც დღეს ენათმეცნიერების ინსტიტუტია), ხშირად შედიოდა მოხუცი, ყავარჯნიანი კაცი, რომელიც პირველ სართულზე შეაღებდა კარს და იკითხავდა: „უკაცრავად, სად არის აქ პავლე ინგოროყვას კაბინეტი?“

„აქ პავლე ინგოროყვას კაბინეტი არა აქვს“, — უპასუხებდნენ. შემდეგ ეს კაცი ხვნეშით აივლიდა კიბეებს და მეორე სართულზე იკითხავდა: „უკაცრავად, კი მაგრამ, სად არის აქ პავლე ინგოროყვას კაბინეტი?“

ისევ უარყოფით პასუხს რომ მიიღებდა, ზევით აინაცვლებდა და ბოლოს გაწბილებული ხმამაღლა ამბობდა:

„ეჰ, ეტყობა, მე სხვა მეცნიერებათა აკადემიაში მოვხვდიო!“.. უდიდესი მეცნიერი პავლე ინგოროყვა ისე გარდაიცვალა, არათუ აკადემიკოსობა, სამეცნიერო ხარისხიც კი არ აღირსეს (საკანდიდატო დისერტაციაც არ დაუცავსო!)... ასეთია ამ ლეგენდის კონტექსტი. დღეს იმ ქუჩას, სადაც უწინ აკადემია იყო განთავსებული, პავლე ინგოროყვას სახელი ჰქვია. მაშინდელი აკადემიის ზოგიერთი „დირექტორ-აკადემიკოსი“ კი თითქმის არავის ახსოვს...

ესაუბრებოდა
ამირან კილურაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორესპონდენტი.
ბათუმი-თბილისი.



მხარდაჭერა სოციუმიდან, ეს მთავრობა მოვიდა სასახლის გადატრიალების ფონზე და თავად პოლიტიკურ მმართველ ძალებში არ არიან კარგად ჩამოყალიბებული თავის პოზიციებში. ეს არის ერთგვარი კონსენსუსური მთავრობა, ზუსტად ამას ჰქვია ტექნიკური მთავრობა და მმართველ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის არ არის კარგად გამოკვეთილი მათივე ინტერესის სფეროები.

ვანგა ჭიჭინაძის და მისი „ძმების“ მოჩვენებანი...

(მესამე გვერდიდან)

კონსტიტუციით იგი ვერ დანიშნავს არჩევნებს, ან ვერ დაითხოვს პარლამენტს. ერთადერთი ვარიანტია, პარლამენტმა თვითდაშლის გადაწყვეტილება მიიღოს და ამგვარად დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. მეორე მხრივ, ასეთ ვითარებაში „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება, მოიპოვოს გამარჯვება, მაგრამ მას, ალბათ, საკონსტიტუციო უმრავლესობა შექმნილ სიტუაციაში ველარ ექნება. აქედან გამომდინარე, „ქართულ ოცნებას“ აწყობს კი ასეთი ვარიანტი, ჩაატაროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვოს, მაგრამ იძულებული გახდეს, კოალიცია შექმნას სხვა პარტიებთან იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები მიიღოს? არ ვიცი, მე პირადად არ ვარ დარწმუნებული, რომ „ქართულ ოცნებაში“ ამას ფიქრობდნენ“, — აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ და დასძინა, რომ ეს ყველაფერი მაინც, ალბათ, პარტიის თავმჯდომარის გადასაწყვეტია.

ამდენად, უნდა დაველოდოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარტიის თავმჯდომარე, რომელსაც სჩვევია არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღება და შესაძლოა, უკმაყოფილოც კი იყოს პარლამენტის საქმიანობით, რადგან, ფაქტია, ამჟამინდელი პარლამენტი, ვერც თავისი შემადგენლობით, ვერც კვალიფიკაციით, ვერც სხვა პარამეტრით ვერ პასუხობს საზოგადოების მოლოდინს და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის ნდობის კუთხით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა.

ამდენად, აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, კონკრეტული პოლიტიკური კონიუნქტურა რას უკარნახებს მმართველ პარტიას. თუ პოლიტიკურმა კონიუნქტურამ უკარნახა, რომ ვადამდელი არჩევნები აუცილებელია, რათა უფრო დიდი კრიზისი აიცილონ თავიდან, მაშინ, სავარაუდოდ, მიიღებენ კიდეც ამ გადაწყვეტილებას, თუ არადა, მაშინ ჩაამთავრებენ ამ ვადას და არჩევნები იქნება კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ ძნელია იმის თქმა, ვინ ახმოვანებინებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობის შესახებ იდეას ცალკეულ ადამიანებს, მაგრამ დღევანდელი მთავრობაც რომ აბსოლუტურად ტექნიკური იქნება, ეს ამათ უკვე ეტყობათ.

ვახტანგ მაისაიას განმარტებით, ამ მთავრობას არ გააჩნია პოლიტიკური

„როგორც ჩანს, კვლავაც მიმდინარეობს შიდა ბრძოლა და ეს არის ერთგვარი დროებითი შეთანხმების მთავრობა. იმედია, ეს მთავრობა დიდხანს გაძლებს, ყოველ შემთხვევაში, მსურს, ასეთი იმედი მქონდეს, მაგრამ დიდი პოლიტიკური პერსპექტივა მათ არ უნდა ჰქონდეთ. ამიტომ, თუ კიდევ მოხდება ამ მთავრობის გადაყენება, ან მსგავსი სიტუაციის შექმნა, მაშინ ბატონ დავით ჭიჭინაძეს დავეთანხმები, რომ, ალბათ, ვადამდელი არჩევნები განსაზღვრავს ახალ პოლიტიკურ ძალთა განლაგებას. ფაქტია, პირველი მთავრობაც გადადგა, მეორე მთავრობაც გადადგა, მესამე მთავრობასაც თუ საფრთხე შეექმნება, მაშინ საპარლამენტო სახელმწიფო მმართველობაზე გადასვლის შემდეგ საპარლამენტო მმართველობაც გარკვეულ როლს ითამაშებს“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ და განმარტა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ უნდა წარმოადგენდეს დღევანდელ პოლიტიკურ დღის წესრიგს, მაგრამ პოლიტიკას თავისი წესები და კანონები აქვს და, თუკი ამ მთავრობამ კიდევ ვერ გაართვა თავი პრობლემებს, მაშინ შეიძლება, ვადამდელი არჩევნები აქტუალური თემა გახდეს.

მანანა ნოზაძე

რა ვითარებაა ჭუბერში!

სვანეთში, სოფელ ჭუბერში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ინფორმაციას და ფოტომასალასა ავრცელებს.

„უხვი ნალექის შედეგად, სოფელ ჭუბერში მთის ნაწილის ჩამოშლამ მდინარე ნენსკრას ადიდება გამოიწვია. მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლის გამო დაიტბორა მიმდებარე ტერიტორია. ჩამოწოლილმა მეწყერმა და მოვარდნილმა ღვარცოფმა გამოიწვია სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდების დაზიანება. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ შემოსულა.

ადგილზე მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამსახური და მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გადასულია მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე“, — აცხადებენ საგანგებოში.

შექმნილ ვითარებას „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობასთან არანაირი კავშირი არა აქვს

კომპანია სს „ნენსკრა ჰიდრო“ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ სოფელ ჭუბერში შექმნილ ვითარებას „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

კომპანიაში განმარტავენ, რომ 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე „ნენსკრა ჰესის“ მოსამზადებელი სამუშაოები სრულიად გაჩერებულია. კომპანიაში მზადყოფნას გამოთქვამენ, შესაძლებლობების ფარგლებში, სასწრაფო წესით იქნას მობილიზებული ტექნიკა, რათა შესაბამისი დახმარება აღმოვუჩინოთ ადგილობრივ მოსახლეობას.

„ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ა.წ. 5 ივლისს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში, მდინარე ნენსკრას ერთ-ერთ შენაკადზე განვითარებული სტიქიური მოვლენის გამო, დაიტბორა სოფელ ჭუბერის ცენტრალური ნაწილი, ასევე დაზიანებულია გზები და ხიდები. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, შექმნილი სიტუაცია „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობას უკავშირდება.

გვსურს განვმარტოთ, რომ 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე „ნენსკრა ჰესის“ მოსამზადებელი სამუშაოები არის სრულიად გაჩერებული. აღნიშნული სამუშაოები გულისხმობდა მხოლოდ არსებული გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას. გარდა ამისა, სტიქიური მოვლენა წარმოიშვა სამშენებლო ტერიტორიიდან 5 კილომეტრის ქვემოთ მდინარის მიმართულებით.

შესაბამისად, შექმნილ ვითარებას „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

ამ მომენტისთვის სს „ნენსკრა ჰიდროს“ თანამშრომლებს აქვთ უწყვეტი კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. შესაძლებლობების ფარგლებში, კომპანიის მიერ სასწრაფო წესით იქნება მობილიზებული ტექნიკა, რათა შესაბამისი დახმარება აღმოვუჩინოთ ადგილობრივ მოსახლეობას“.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დალი აბაშიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დალი აბაშიძე (პ/ნ 61006053973), ხელვაჩაური, სოფელი ვარშალომიძეები.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ., შესახვევი 7, №11, სართული 5, ბინა №69 (საკადასტრო კოდი: 05.35.26.116.01.069https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 25309.23 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP53487518;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 534875

6. **მოვალე:** ლიკა ზოიძე (პ/ნ 61006060131), დ. ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. №52ა, ბინა 1.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP53487518; ლოტის ნომერი: 534875).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მიხეილ ჯავახიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მიხეილ ჯავახიშვილი (პ/ნ 01005006859), თბილისი, გორის ქ. №18, ბინა №3ა.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, გორის ქ. №18, ბინა №3ა (საკადასტრო კოდი: 01.13.07.013.019.01.003https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18290 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 17 ივლისი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP53487818;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 534878

6. **მოვალე:** გიორგი ჯავახიშვილი (პ/ნ 01005015495), თბილისი, გორის ქ. №18, ბინა №3ა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP53487818; ლოტის ნომერი: 534878).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლელა კაპანაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლელა კაპანაძე (პ/ნ 11001026943), თბილისი, სოლომონ ქურდიანის 43.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ქურდიანის 43 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.019.023https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 35927.5 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP53487618;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 534876

6. **მოვალე:** მიხეილ ღონღაძე (პ/ნ 11001013338), თბილისი, სოლომონ ქურდიანის 41
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP53487618; ლოტის ნომერი: 534876).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი იშხნელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი იშხნელი (პ/ნ 01003008966), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.010.006.01.143https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 37108.41 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 17 ივლისი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP53487718;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 534877

6. **მოვალე:** ტარიელ იშხნელი (პ/ნ 01003001963), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143;

გიორგი იშხნელი (პ/ნ 01003008966), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP53487718; ლოტის ნომერი: 534877).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 17 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

მაია თომაძის ნიჭის ელვარება

ფიქრებს გარდასულ დროში გადავყავარ. 1986 წელი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე მომღერალი იდგა და ულამაზესი ჰანგებით გვანებივრებდა. ფართო დიაპაზონის, კრისტალურად სუფთა, უნიკალურ, ექსპრესიულად ძლიერ და მოზღვავებულ ხმას დარბაზი ვეღარ იტევდა, გეგონებოდა, საცაა, კედლები უნდა დასკდეს და გარეთ გაიჭრასო. მომღერლის მყარი სუნთქვა იდეალური კანტილენის, შესანიშნავი ფილირების და პიანოს ოსტატურად შესრულების საშუალებას იძლეოდა. ხმის მდიდარი ტემბრი, სხივოსნობა, ჰარმონიული ობერტონები და შინაგანი გულწრფელობა ვოკალურ ნაწარმოებებს მეტად საინტერესოს ხდიდა, რასაც ხელს უწყობდა სამხრეთული ტემპერამენტი, დაუოკებელი ემოცია, დიდი გემოვნება და სცენური გამომსახველობა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ჩემ წინ ქართველი დრამატული სოპრანო მაია თომაძე კი არა, იტალიური ბელ კანტოს სკოლის მომღერალი იმყოფებოდა. თავი დამაჯერებლად ეჭირა, დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში. არა და საკონცერტო პროგრამა სტილისტური მრავალმხრივობით და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რაც შესასრულებლად გარკვეულ სირთულეებს შეიცავდა. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის და ეპოქის კომპოზიტორები: მოცარტი, სკარლატი, ბელინი, როსინი, ვერდი, მასკანი, შუმანი, ბრამსი, ჩაიკოვსკი. მგზნებარებით, არტისტული გარდასახვით და კომპოზიტორის ჩანაფიქრის სრული გააზრებით იყო შესრულებული საოპერო არიები ოპერებიდან: „ნორმა“, „ბედის ძალა“, „ბალ- მასკარადი“, „აიდა“, „დონ ჟუანი“...

შესრულებული ნაწარმოებებიდან მაინც მინდა, გამოვყო ნორმას არიები ოპერიდან „ნორმა“ და დებიუსის რომანსი „ხილვა“, სადაც მომღერალმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენა. გამორჩეულ ფენომენს, ხშირ შემთხვევაში ამოუწურავი სასიმღერო განზომილება და ინდივიდუალურობა ეტყობოდა. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი ზედმეტი ფრაზა. მაღალი ნოტები რაღაც უსასრულობამდე გრძელდებოდა, თუმცა ყველაფერი აკადემიურ დონეზე იყო წარმოჩენილი და დაყვანილი, რაც ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული სახის სრულყოფილად შექმნას ემსახურებოდა. მომღერალს თავისთავად რამდენიმეწლიანი გამოცდილებაც უწყობდა ხელს, მღეროდა თბილისის, მოსკოვის დიდი თეატრის და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საოპერო თეატრებში.

ქართველ ქალთა ნიჭიერება გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ აშკარა იყო, რომ მაია თომაძის სახით უნიკალურ ფენომენთან გვქონდა საქმე, რაც სულ მოკლე პერიოდში დადასტურდა კიდეც, მან ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გამართულ ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი, ოქროს მედალი და გრან-პრი მოიპოვა, სადაც ჟიურის წევრის, მსოფლიოში აღიარებული სოპრანოს მონსერატ კაბალიეს აღტაცება და გაოცება გამოიწვია, ხოლო ჟიურის წევრმა, სახელგანთქმულმა ტენორმა ჯუზეპე დი სტეფანომ მას „ფანტასტიკური მაია“ უწოდა. ეს გახლდათ ქართული ვოკალური სკოლის სრული ტრიუმფი, რაც თავისთავად ყველა ჩვენგანს სიხარულით და სიამაყით აღავსებდა. ქართული სასიმღერო ხელოვნების ჰორიზონტზე ახალი ვარსკვლავი აკიაფდა, რომელსაც უდავოდ ბრწყინვალე მომავალი უნდა ჰქონოდა... ყოველივე ამან შემდეგ შთამაგონებელი გაგრძელება ჰპოვა, ვინაიდან მაია თომაძეს საშუალება მიეცა, თავისი გამორჩეული ტალანტი მსოფლიოს უდიდეს საოპერო და საკონცერტო სცენებზე დაემტკიცებინა... კონკურსში გამარჯვებიდან სულ მალე იგი მიწვეულ იქნა ესპანეთში, სადაც დიდი წარმატებით გამოვიდა ქალაქ ბარსელონას „გრან ტეატრე დელ ლიცეოს“ საოპერო თეატრში, აიდას მთავარ პარტიაში ვერდის ოპერა „აიდაში“. მისი პარტნიორები იყვნენ აღიარებული მომღერლები: ლა სკალას თეატრის სოლისტები – ფიორენცა კოსოტო და ივო ვინკო, მეტროპოლიტენ ოპერის სოლისტი – ლანდო ბარტოლინო, ქოვენ-გარდენის მომღერალი – კორნელი მაკლეინი. ოპერას დირიჟორობდა ბუენოს-აირესის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი რომანო განდოლფი. ამ პერიოდში მაია იქვე მღერის ელისაბედის პარტიას ვერდის „დონ კარლოსში“ და ანჟელიკას პარტიას პუჩინის „ანჟელიკაში“. მოვიხმობთ ესპანურ პრესას: **„როგორც იქნა, ბარსელონელებმა შეძლეს, მოესმინათ და ენახათ მაია თომაძის მიერ შესრულებული ის აიდა, რომელმაც ძალზე ღრმად გახსნა დიდი ვერდის ჩანაფიქრი“ მისი შესრულების მანერა სრულიად უნიკალურია ცნობილ არიაში ნილოსთან, რომელშიც ლირიულობა და დრამატიზმი ერთდროულად შეთავსებულა. მომღერალი ქალი საოცრად თავისუფლად ასრულებს. სპექტაკლები ბევრ საინტერესოს გვპირდება“.** მომღერლის შესაძლებლობები მართლაც ბევრ საინტერესოს, საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებებისა და აღიარების სრულ გარანტიას იძლეოდა.

მაია თომაძე 1954 წელს მუსიკალურ ოჯახში დაიბადა. დედა – ნათელა სვანიძე კომპოზიტორი, ხოლო მამა – პეტრე თომაძე საოპერო მომღერალი (ბანი) გახლდათ. მღეროდა ძმაც. მაიას ბავშვობა მუსიკის სამყაროში ყალიბდებოდა და იწრთობოდა. დასაწყისში მშობლები სიმღერას მაინცდამაინც არ ურჩევდნენ, ფუნდამენტურ მუსიკალურ განათლებას სთავაზობდნენ, ამიტომაც იგი პირველ ხანებში ვიოლინოზე დაკვრას ეუფლებოდა, პარალელურად სიმღერის გაკვეთილებს პროფესორ ელისო ქუთელიასგან იღებდა.

თავისი შესაძლებლობები მაიამ სულ მალე ირწმუნა და იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე აღმოჩნდა პროფესორ გულნარა ქართველიშვილის კლასში. ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტმა, 1971 წელს იუგოსლავიის ქალაქ ოხრიდის სტუდენტ ვოკალისტთა კონკურსში მიიღო მონაწილეობა, რომლის ორგანიზატორი მაშინ ახალგაზრდა, ნიჭიერი ესპანელი მომღერალი ხოსე კარერასი იყო. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, 1976 წელს, მაია თბილისის ოპერის თეატრის სოლისტად იქნა მიწვეული.

1977 წელს განსაკუთრებული მოვლენა მოხდა ქართულ სახელოვნებო არეალში, აღდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა და დიდი ლოდინის შემდეგ კვლავ აჟღერდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“. საზოგადოების საერთო სასიხარულო განწყობილებას და ინტერესს თავისებურ ხიბლს სძენდა ის, რომ სპექტაკლში პირველად მონაწილეობდნენ დებიუტანტები: მაია თომაძე – ეთერის და ალექსანდრე ხომერიკი – აბესალომის პარტიებში. ახალგაზრდებმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს. იმ დროინდელი პრესა აღნიშნავდა: **„უბრალოდ რომ ვთქვათ, მაია თომაძე ამ პარტიას ისე ასრულებს, დრამატული თეატრის თვალსაჩინო მსახიობი გეგონებათ. მომღერლის ხმა ყველა რეგისტრში თანაბრად ჟღერს, შესანიშნავ პიანოს ამაღელვებელი, ემოციური ფორტე ცვლის. უფრო მეტიც, იგი „ეთერს“ ისე ლაღად, მშვენივრად, ამაღელვებლად ასრულებს, თითქოს ამ პარტიისთვის ყოფილიყო დაბადებული“.** ეთერის პარტიისთვის თომაძეს წლის საუკეთესო შემსრულებელის სპეციალური პრემია გადაეცა. ანალოგიური მოხდა 1986 წელსაც, მან იგივე ჯილდო მეორედ დაიმსახურა. **„...გამოგიტყდებით, ასეთი ნიჭის გამოვლინება არ შემხვედრია. საოცარი სულიერი აღმაფრენა ჰქონდა. მისი გამორჩეული ტალანტი და ღვთიური ხმა ყველას ატყვევებდა“,** – თქვა ცნობილმა კონცერტმაისტერმა ტატიანა დუნენკომ.

ახალგაზრდა მომღერლები ყოველთვის საჭიროებენ წინსვლას და სრულყოფას. სწორედ ამ მიზნით მაია 1979 წელს მიავლინეს სტაჟიორად მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც იგი აქტიურად იყო ჩართული ახალ-ახალი საოპერო პარტიების შესწავლასა და დახვეწაში. აქ მან წარმატებით იმღერა: ტატიანა – ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“; ნატაშა – პროკოფიევის „ომი და მშვიდობაში“, იფიგენია – გლუკის „იფიგენია ავლიდაში“. მოამზადა პარტიები – მადამ ბატერფლაი „ჩიო-ჩიო-სანიდან“, იოლანტა და ლიზა ჩაიკოვსკის „იოლანტადან“ და „პიკის ქალიდან“. დიდ თეატრში ოთხწლიანი დაუღალავი შრომის, მეცადინეობის და სცენური დაოსტატების შემდეგ მომღერალი საქართველოში ბრუნდება და მშობლიურ საოპერო თეატრში აგრძელებს მოღვაწეობას.

მაია თომაძის ფენომენალურმა მონაცემებმა, აბსოლუტურმა მუსიკალურმა სმენამ და უტყუარმა მეხსიერებამ თეატრის რჩეულ მომღერალთა რიგში ჩააყენა. იგი მაღალ დონეზე ასრულებს არა ერთ წამყვან და რთულ პარტიას: ელეონორას და ელისაბედს (ვერდის „ბედის ძალიდან“ და „დონ კარლოსიდან“), ნორმას (ბელინის „ნორმადან“), ნინეტას (როსინის „ქურდი კაჭკაჭიდან“), ანჟელიკას და ლაურეტას (პუჩინის „ანჟელიკადან“ და „ჯანი-სკიკიდან“), დონა ანას (მოცარტის „დონ ჟუანიდან“), ფატა მორგანას (პროკოფიევის „3 ფორთოხლის სიყვარულიდან“), ლელას (ლაღიძის „ლელადან“), თამარს (თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებიდან“), სილვანას (ყანჩელის „და არს მუსიკიდან“) და სხვა. ყველა შესრულებულ პარტიებში მომღერალი ბგერათა მდიდარ პალიტრას ამჟღავნებს, რაც უდიდეს აღფრთოვანებას იწვევდა მაყურებელში. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შემოქმედებითი სრულყოფის მუდმივ ძიებაში მყოფი, წარმატების სრულ გარანტიას იძლეოდა. შედეგი ყოველთვის შთამბეჭდავი იყო. ახლა უკვე მაია თამამად და დამაჯერებლად გამოდის საზღვარგარეთ, მღერის: უნგრეთის, თურქეთის, საფრანგეთის, რუსეთის, პოლონეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, ავსტრიის, ფინეთის, ფილიპინების საოპერო და საკონცერტო სცენებზე ისეთი აღიარებული მომღერლების გვერდით, როგორებიცაა: ხოსე კარერასი, რუჟერო რაიმონდი, რენატო ბრუზონი და სხვ. საკონცერტო შესრულების დროს იგი არასოდეს ივიწყებდა ქართველი კომპოზიტორების – ფალიაშვილის, არაყიშვილის, ბალანჩივაძის, ლაღიძის, მაჭავარიანის, თაქთაქიშვილის, კერესელიძის, კვერნაძის, ჩიმაკაძის და სხვათა კლასიკურ ნაწარმოებებს.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ უდიდესი სულიერი ტკივილი მიაყენა თითოეულ ჩვენგანს, თავისთავად მაია თომაძესაც. მან 1989-90 წლებში საზღვარგარეთის ყველა კონტრაქტი გაუქმა და კატეგორიული უარი განაცხადა საგასტროლოდ გამგზავრებაზე. ამას ემატებოდა ისიც, რომ იმ დროს არსებულ ეგრეთ წოდებულ „სახკონცერტს“, რაღაც მანკიერი და კაბალური კანონი ჰქონდა: საზღვარგარეთ გასტროლების შემთხვევაში, ხელოვანს მთლიანი ჰონორარის მხოლოდ 3 პროცენტი ეძლეოდა. პროტესტის ნიშნად მაიამ უარი თქვა აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაბოძებ ყველა ჯილდოსა და წოდებაზე (მანამდე მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება ჰქონდა მინიჭებული).

ბუნებით ბობოქარი ადამიანი მხოლოდ ერთი და იგივე მდგომარეობით არ კმაყოფილდება, ყოველთვის სიახლეების ძიებაშია და აი, მაია თომაძე 1990 წელს სრულიად ახალ ამპლუაში გვევლინება, იგი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ხდება, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისი ძირითადი საქმიანობისთვის. საინტერესო და სიმბოლურია ის ფაქტი, რომ 1991 წლის 9 აპრილს გამოცემულ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე მისი ხელმოწერაცაა.

ცნობილი მოვლენების გამო 1992 წელს მაია ფინეთში აღმოჩნდა. ამ პერიოდში მას საშუალება მიეცა, საქართველო ესახელებინა ევროპის არა ერთ ქვეყანაში... ფინური გაზეთი „კალევა“ იტყობინებოდა: **„სოპრანო მაია თომაძე უნიკალური მოვლენაა ხელოვნებაში“,** ხოლო გაზეთი „ჰიუვანკა სანომა“ გვამცნობდა: **„საქართველოდან გვესტუმრა შეუდარებელი მაია თომაძე, ფეხზე წამოჭრილმა აღფრთოვანებულმა მსმენელმა ოვაცია გაუმართა სიმღერის ჯადოქარს“...**

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“... ის-ის იყო, მისი გასაოცარი ხელოვნება ფრთებს ისხამდა საერთაშორისო არენაზე, რომ ბედის უკუღმართობამ სამწუხაროდ, უკურნებელი სენი შეჰყარა და სცენას ჩამოაშორა უნიჭიერესი მაია. მის „გედის სიმღერას“ ბათუმში 1994 წელს დადგმული „აბესალომ და ეთერი“ წარმოადგენდა, სადაც უკანასკნელად იმღერა მისთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ეთერის პარტია.

ტრაგედიაა, როცა ახალგაზრდა ხელოვანი, ჭეშმარიტი ტალანტი გარდაიცვლება, მაგრამ ალბათ ორმაგი ტრაგედიაა, როდესაც ამქვეყნიდან ნიჭიერებით გამორჩეული ხელოვანი, ჭეშმარიტი ტალანტი მიდის. მაია თომაძე 1994 წელს გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 40 წლის ასაკში... შინაგანი ემოციის და უდიდესი მწუხარების აღმძვრელი იყო ეთერის სასცენო სამოსში მისი დაკრძალვის ცერემონია. ამან ანალოგიური შემთხვევა გამახსენა, როცა მსოფლიოში სახელგანთქმული, უდიდესი იტალიელი ტენორი მარიო დელ-მონაკო ოტელოს სასცენო კოსტიუმით დაკრძალეს.

„მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, მაიამ ძალიან დიდი სახელი დატოვა, როგორც მსახიობმა და როგორც უდიდესმა მუსიკოსმა. ჩვენ ერთად უამრავი სპექტაკლი გვაქვს ნამღერი. ყველა იყო დასამახსოვრებელი და ხელოვნების უმაღლესი სტანდარტით წარმოჩენილი, მაგრამ ეთერის დატირება „აბესალომ და ეთერში“, ეს იყო სულის შემძვრელი, სცენა, რომლის მსგავსი ცხოვრებაში ცოტა მინახავს და მომისმენია. მიმაჩნია, რომ მაია თომაძის სასიმღერო ფენომენი და მის მიერ შესრულებული ყველა როლი ღრმა შესწავლას და სათანადო შეფასებას იმსახურებს“, – ამბობდა მაშინ ელდარ გეწაძე.

„მე ჯერ კიდევ კონსერვატორიის მე-2 კურსის სტუდენტი, ტატიანა დუნენკოსთან ჩუმად ვამზადებდი აბესალომის პარტიას. სწორედ აქ მოხდა ჩემი და მაიას პირველი შეხვედრა. ეთერის პარტიას ამზადებდა. ჩვენი პირველი შემფასებელი იმ დროს ოპერის თეატრის პარტკომი თენგიზ მუშკუდიანი იყო, რომელმაც ფაქტიურად რეკომენდაცია გაგვიწია თეატრის ხელმძღვანელობასთან. მაია უკვე ოპერის სოლისტი იყო. ჩემი ოპერაში მიღება კი ზურაბ ანჯაფარიძის მიერ მოსმენის შემდეგ გადაწყდა. ასე მოვხვდით მე და მაია ერთად 1977 წელს „აბესალომ და ეთერის“ პრემიერაზე. მისი ეთერის დატირების სცენა მართლაც შემზარავად ჟღერდა. ამას დარბაზიდან მაყურებლის ქვითინი მოსდევდა. ვერც მე ვიკავებდი თავს, ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა ცრემლი. არა ერთი მსოფლიო დონის სოპრანოსთან მიმღერია, მაგრამ მაია მაინც სულ სხვა მოვლენა იყო“, – იგონებს ალექსანდრე ხომერიკი.

მაია თომაძემ სცენაზე მეტეორივით გაიელვა და უდროოდ ჩაქრა, მაგრამ არ ჩამქრალა მისი კოლეგების, ნაცნობ-მეგობრების სულსა და გულში, იმათში, ვისაც მისი სიმღერისგან განუზომელი სულიერი სიამოვნება უგრძნია, განსაკუთრებით კი მის შთამომავლებში: ვაჟიშვილის – გიორგი რუხაძისა და შვილიშვილების – მაიას, მერისა და იას ხსოვნაში... შთამომავლებს ყოველთვის საამაყოდ დარჩებათ მაიას უკვდავი სახელი.

გელა ქოქიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

ჭიდაობა

პირველ დღეს - 14 მედალი

თბილისის ოლიმპიური სასახლე სახელოვანი ქართველი ფალავნების — ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს — „დიდ პრიზს“ მასპინძლობს თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში. ასპარეზობის პირველ ფინალურ დღეს ჩვენებმა 14 მედალი მოიპოვეს, მათ შორის — 5 ოქროსი, 2 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოსი. ამ ნადავლიდან ცხრა ჯილდო „კლასიკოსებზე“ მოდის: 2-2 პირველი-მეორე და 5 მესამე ადგილი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ხუჭუა (72) და ლაშა გოგბაძე (82). ხუჭუამ ფინალში ფრანგთა სახელით მოასპარეზე სომეხი ერიკ ნიკოგოსიანი დაამარცხა — 10:2, გობაძემ კი ედუარდ სარგსიანს (სომხეთი) აჯობა — 7:5.

ფინალში გავიდნენ **ლაშა მარიამიძე (63)** და **რევაზ ნადარეიშვილი (97)**, მაგრამ მარიამიძე ვერაფერს გახდა რუსთა ევროპული თამაშების გამარჯვებულსა და მსოფლიოს პრიზიორ სტეფან მარინიანთან — 0:9, ხოლო ნადარეიშვილმა ასეთივე ანგარიშით დათმო გადამწყვეტი ორთაბრძოლა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ მუსა ევლოევთან (რუსეთი). ბრინჯაოს მედლები **ლევან ქავჟარაძემ (63)**, **ზურაბ დათუნაშვილმა, გელა ბოლქვაძემ** (ორივე — 82), **გიორგი მელიამ** და **ალექსანდრე ლოდიამ** (ორივე — 98) მოიპოვეს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან სამი ფალავანი გავიდა ფინალში და სამივემ ოქროს მედალი დაიმსახურა: **ბექა ლომთაძემ (61)** წმინდად (10:0) მოუგო უზბეკ აბოს რახმონოვს, **გენო პეტრიაშვილმაც** (125) იოლად დაჯაბნა უკრაინელი ოლექსანდრ ხოციანოვსკი (5:2). **ზურაბ იაკობიშვილს** (70) ფინალში მეტოქეობდა რუსთა სახელით მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი, ცხინვალიდან წასული სოსლან რამონოვი. ბოლო წამებზე იაკობაშვილმა 3:2 გაიმარჯვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ბრინჯაოს მედლები **გიორგი რევაზიშვილმა** (61) და **ირაკლი მწითურმა** (92) დაიმსახურეს.

ლაშა დიდია



ბაგრატ გაგნიძის დუბლი

ზაგრებში (ხორვატეთი) ჭაბუკ ფალავანთა მსოფლიოს პირველობაზე შესანიშნავად იასპარეზა თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა ბაბრატ გაგნიძემ, რომელმაც 71 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქეს აჯობა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ქუთაისის საჭიდაო სკოლის აღზრდილმა სტარტზე ისრაელის წარმომადგენელი ჩენგიზ სოლტანლი დაამარცხა — 10:0. მეორე წრეში იაპონელ შინოსუკე სუვამას დაუპირისპირდა. თავიდან ჩვენებური დაწინაურდა — 1:0, მაგრამ მალევე იაპონელმა მეტოქე ორჯერ გადაიყვანა ჩოქბჯენში და 5:1 გავიდა წინ. ორთაბრძოლის დასრულებამდე 1.5 წამით ადრე ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი 7:3-ს იგებდა შეხვედრას. ამ მცირე დროში გაგნიძემ ოთხქულიანი გდებით წონასწორობა აღადგინა. იაპონელებმა შედეგი გააპროტესტეს, მაგრამ ჟიურიმ შუამავალი არბიტრის შეფასება ძალაში დატოვა, ქართველს ქულაც დაუმატა (8:7) და ქუთაისელი ფალავანი ნახევარფინალში გავიდა, სადაც უნგრელ დომინიკ მეზეის სძლია (10:0), გადამწყვეტ პაექრობაში ინდოელ ბალიან გოურავს ქულებით მოუგო და ოქროს მედალი დაიმსახურა.

წინა დღეს მესამე ადგილს დაყაბულდა **გიორგი გეგელაშვილი** (48 კგ). გორელმა მოჭიდავემ ზედიზედ სძლია პოლონელ სოლტისსა და თურქ გოკდენიზს. ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ამირლისთან დამარცხდა. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში ირანელ მაჰდი ვეისს 4:2 აჯობა. მედლამდე თითო გამარჯვება დააკლდათ დავით აბდალაძესა (55 კგ) და ლადო გამყრელიძეს (65 კგ), რომლებიც მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

მუნდიალი-2018

წყალნი წავლენ და წამოვლენო, ხომ გსმენიათ? ჰოდა, მერვედფინალური რაუნდის შემდეგ კიდევ ერთხელ განახევრდა რუსული მუნდიალის მონაწილეთა შემადგენლობა და უძლიერესთა ოქტეტი მორიგი გაცხრილვისთვის ემზადება. მათ დიდხანს ლოდინი არ მოუწევთ — პლეი-ოფები დღეს განახლდება და ხვალ საღამოს, უკვე გვეცოდინება ნახევარფინალისტთა ვინაობა. როგორ შეიძლება შეფასდეს რჩეულთა შანსები?

დღეს

18 საათი. ნიჟნი ნოვგოროდი. ურუგვაი-საფრანგეთი. ერთი შეხედვით, სამხრეთამერიკელთა დაცვითი ბასტიონებისა და „სამფეროვანთა“ მრისხანე მოიერიშეთა გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა, მაგრამ სინამდვილეში, არც მთლად მასეა საქმე, რადგან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს წინა ხაზშიც დიდოსტატური დუეტი ამშვენებთ სუარეს-კავანის სახით, თუმცა, არის ერთი ნიუანსი, რომელმაც შესაძლებელია დიდი უპირატესობა მიანიჭოს დიდიე დეშამის გუნდს. საუბარია წვივის ტრავმაზე, რომელიც „პარი სენ-ჟერმენის“ ლიდერმა პორტუგალიასთან პირადად მისთვის ფეერიულ ბრძოლაში მიიღო, რომელშიც ორი გოლი გაიტანა. თუ ოსკარ ტაბარესმა იგი თავიდანვე ვერ ჩააბა ბრძოლაში, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ წყვილში ისედაც ფავორიტად მიჩნეულ ფრანგთა ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

22 საათი. ყაზანი. ბრაზილია-ბელგია. მართალია, ტიტემ რუსეთში ყველა რგოლში მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი შემსრულებლებით დაკომპლექტებული ანსამბლი ჩაიყვანა, მაგრამ სუსტი წერტილი მასაც მოეძებნება ცენტრფორვარდ ჟესუსის სახით, რომელმაც ბევრს სახიფათო მომენტების გაცდენა ერგებოდა. ეს ბრაზილიელ ფანატიკოსებს ალბათ ბევრ ნერვიულობას ანიჭებს, ოღონდ ბელგ

თბილისის გენგეგმით დოკუმენტის ძირითად მოცემულობებთან შეუთავსებელი ტერიტორიების ჩამონათვალი განისაზღვრა

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის თანახმად, შეუსაბამო ტერიტორიებია გლდანის ტბის მიმდებარედ, აგრარული უნივერსიტეტის უკან, ვაშლიჯვარში და ჟვანიას ქუჩის ბოლოში არსებული ტერიტორიები.

რაც შეეხება სარევიზიო ტერიტორიებს, ესენია: ა) გლდანი-მუხიანი, ხევძმარის ხევში არსებული განვითარებები (სარევიზიოა პროექტით გათვალისწინებული კოლექტორის თავზე მშენებლობის საკითხი); ბ) დიდი დიღომი, რაგბის კომპლექსის მიმდებარედ, წოწორას ხევის მახლობლად; გ) მეტრო სარაჯიშვილის დასავლეთით, მაგისტრალის მიმდებარედ (სარევიზიოა პროექტით გათვალისწინებული ჭარბი ინტენსიობის საკითხი); დ) ლისის ტბის მიმდებარედ (სარევიზიოა პროექტების შესაბამისობა ტერიტორიაზე დასამუშავებელი ჩარჩო გეგმის მიზნებთან); ე) უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ჩრდილოეთით (შესასწავლია საცხოვრებელი ობიექტების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინსოლაციის და ბუნებრივი განათებულობის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობა); ვ) თბილისის ზღვის მიმდებარედ (გადასახედია პროექტების მიმართება დაცვით და სანიტარიულ არეალებთან. კერძოდ, შესაფასებელია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესაბამისობა მოქმედ ჰიგიენურ-სანიტარიულ ნორმებთან და მოქმედ გარემოსდაცვით შეზღუდვებთან); ზ) კოჯორი-შინდისის მიმდებარედ (სარევიზიოა პროექტებით გათვალისწინებული საინჟინრო და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები); თ) კრწანისის რაიონი (სარევიზიოა საპროექტო გადაწყვეტებით ტერიტორიაზე არსებული გეოდინამიკური საფრთხეების გათვალისწინების საკითხი); ი) ყოფილი მევენახეობის მიმდებარედ (გადაიხედოს „მწვანე ქალაქის“ კონცეფციის მიდგომებთან მიმართებით. გაანალიზდეს მდინარე დიღმის წყლის მიმდებარე ტერიტორიის რეკრეაციული ფუნქციით დატვირთვის შესაძლებლობა და საპროექტო სივრცის განაშენიანების ინტენსივობის ქალაქგეგმარებით წესებთან და ნორმებთან შესაბამისობის საკითხი); კ) ნადიკვარის ქუჩის მიმდებარედ (გადაიხედოს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით გათვალისწინებული განვითარებითი მიმართულებების შესაბამისობა ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის მოთხოვნებთან).



აღსანიშნავია, რომ თბილისის საკრებულო და მერია უფლებამოსილნი არიან, მოახდინონ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით წარმოდგენილ შეუსაბამო ტერიტორიებზე მოქმედი არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების რევიზია, რათა ტერიტორიების შემდგომი განვითარება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ზონირებით და შინაარსობრივ მოცემულობებთან თავსებადობაში მოვიდეს.

თბილისის მერიამ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დასამტკიცებლად საკრებულოს 4 ივლისს გადაუგზავნა.

სანთელი

ნოდარ ემხვარი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ალეკო და ნანა ალადაშვილებს დედის

მუზა ზაუტაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები მზია, ზურა ჩიკვაიძეები ოჯახებით იუწყებიან

ევგენია (ჟენია) დურგლიშვილი-ჩიკვაიძის

გარდაცვალებას

დაკრძალვა: 7 VII, 14 სთ., თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში.

ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, კახა სალია, ნესტორ ჩიხლაძე, მიხეილ ხუჭუა, გიორგი, ირაკლი, მანანა გოგიშვილები, ვაჟა სამუშია, თემურ მურვანიძე, მარინა ისიანი, მარინა კანდელაკი ოჯახებით იუწყებიან ახლობელი ადამიანის, ღირსეული, კეთილშობილი ქალბატონის

ევგენია (ჟენია) დურგლიშვილი-ჩიკვაიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

ესპანეთში კრიმინალური დაჯგუფების ქართველი წევრები დააკავეს

ესპანეთის სამეფოს ეროვნულმა პოლიციამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად კიდევ ერთი წარმატებული მასშტაბური სპეცოპერაცია — სახელწოდებით „კუში-2“ ჩაატარა. სპეცოპერაციაში აქტიურად იყო ჩართული ინტერპოლი და ევროპოლი.

სპეციალური საპოლიციო ღონისძიება ესპანეთის რამდენიმე ქალაქში ერთდროულად განხორციელდა. მასში 800-ზე მეტი ესპანელი სამართალდამცველი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

აღნიშნული სპეცოპერაციის საშუალებით გამოვლინდა სომხურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფება, რომელსაც, ეროვნებით სომეხ „კანონიერ ქურდთან“ ერთად, ძმები შუშანაშვილები ხელმძღვანელობენ.

სპეცოპერაციის შედეგად, მადრიდის, ბარსელონას, ვალენსიას, ალიკანტეს, ალბასეტეს, მურსიას, ჟირონასა და გრანადას პროვინციებში ესპანეთში მოქმედი სომხურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფების 129 წევრი, მათ შორის 7 „კანონიერი ქურდი“ დააკავეს. ისინი, ძირითადად, სომხური წარმოშობის პირები არიან.

ამავე სპეცოპერაციის შედეგად, მადრიდსა და ვალენსიაში დაკავებულია საქართველოს 2 მოქალაქე, ეროვნებით ქართველი - 1971 წელს დაბადებული პ.ჯ. და 1974 წელს დაბადებული მ.კ.

სომხურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრებს ბრალად ედებათ კრიმინალური დაჯგუფების წევრობა, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ფულის გათეთრება, საცხოვრებელ სახლებში უკანონო შეღწევა, ავტომობილებით უკანონო ვაჭრობა, თამბაქოს კონტრაბანდა, იარაღის უკანონო ფლობა, დოკუმენტაციის გაყალბება, თაღლითობა, გამოძალვა და კორუფცია სპორტულ გარიგებებში.

ესპანეთში ჩატარებული სპეცოპერაცია „კუში“ ევროპოლმა და ინტერპოლმა შეაფასეს, 2010 წლიდან დღემდე, ყოფილი საბჭოთა წარმოშობის საერთაშორისო ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ჩატარებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად.

თურქეთს სირიაში სამხედროები შეჰყავს

თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა სირიაში ჯავშანტექნიკა, ქვემეხები და მძიმე შეიარაღება გააგზავნა. სამხედრო კოლონამ სირიის საზღვარი ონჯუპინარისა და ჩობანბეის გამშვები პუნქტების საშუალებით გადაკვეთა. სამხედროები სირიის ქალაქ თელ-რიფატისა და მანბიჯასკენ მიემართებიან.

ტრამპის ქონდა წინადადება ვენესუელაში შეჭრის შესახებ

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2017 წლის აგვისტოს ერთ-ერთ შეხვედრაზე თეთრ სახლში რექს ტილერსონისა და ჰერბერტ მაკმასტერის თანდასწრებით, რომელიც მაშინ იკავებდა გენერალური მდივნისა და მრჩევლის პოზიციას ეროვნული უსაფრთხოების სფეროში, ილაპარაკა ვენესუელაში შესაძლო შეჭრის თაობაზე, რეგიონალური უსაფრთხოების საფრთხის გამო. იუწყება სააგენტო Associated Press-ი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წყაროზე დაყრდნობით.

„ვენესუელას პრობლემის სწრაფი გადაჭრისთვის, რომელიც ემუქრება რეგიონალურ უსაფრთხოებას, რატომ არ დაესხმება აშშ უბრალოდ თავს პრობლემურ ქვეყანას“, — ციტირებს Associated Press-ი სააგენტოს თანამოსაუბრის მხრიდან დონალდ ტრამპის სიტყვებს.

დისკუსია გრძელდებოდა მხოლოდ ხუთ წუთს. შეკრების მონაწილეებმა აუხსნეს ტრამპს, თუ როგორი ნეგატიური შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა აშშ-სთვის ვენესუელასთან სამხედრო კონფლიქტს.

წყაროზე დაყრდნობით, ტრამპმა მაინც არ უარყო თავისი იდეა და შეხვედრის შემდეგაც განიხილავდა ვენესუელასთან და მის ლიდერთან ნიკოლას მადუროსთან დაკავშირებით სამხედრო გადაწყვეტილებების მიღების საკითხს.

წყაროზე დაყრდნობით ტრამპი ამ საკითხს განიხილავდა კოლუმბიის პრეზიდენტ ხუან მანუელ სანტოსთან ერთად.

Associated Press-ი აღნიშნავს, რომ თეთრი სახლის წარმომადგენლები ამ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებენ.

არეულობა საფრანგეთის ქალაქ ნანტში

საფრანგეთის ქალაქ ნანტში 5 ივლისის ღამეს სამართალდამცავებმა 11 პირი დააკავეს. ქალაქის ქუჩებში არეულობა მას

შემდეგ დაიწყო, რაც სამართალდამცავებმა დოკუმენტების შემოწმების დროს ადგილობრივი მოკლეს. 22 წლის ახალგაზრდას პოლიციამ მაშინ ესროლა, როდესაც მან პირადობის დამადასტურებელი საბუთის ჩვენებაზე უარი განაცხადა და მიმალვა სცადა, რასაც ადგილობრივების პროტესტი მოჰყვა და რაიონში არეულობა დაიწყო. მას შემდეგ რაც ახალგაზრდების ჯგუფმა პოლიციელებს აალებადი ნივთები ესროლეს. სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს და დემონსტრანტები დაშალეს. რაიონის რამდენიმე მცხოვრებმა ოთხშაბათს საღამოს ახალი ძალით შეუტა პოლიციას, აგრესიულად განწყობილმა პირებმა დაარბიეს ქუჩები, შენობების ფასადები, ცეცხლი წაუკიდეს ავტომობილებს, პოლიციამ წესრიგის აღსადგენად სპეცსაშუალებები გამოიყენა, არეულობის მონაწილეები დააკავა, 11 დაკავებულს შორის არასრულწლოვნებიც არიან.

ირანი ორმუზის სრუტის დაკეტვით იმუქრება

ირანის რევოლუციის მცველთა კორპუსი **მზად არის, ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ორმუზის სრუტე დაკეტოს, ამის შესახებ კორპუსის წარმომადგენელმა ისმაილ კოუსარიმ განაცხადა.** „თუ ირანის ნავთობის ექსპორტს შეზღუდვები ექნება, ჩვენ ორმუზის სრუტის გავლით მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ნავთობის გატანას არ დავუშვებთ“, — განაცხადა კოუსარიმ. ორმუზის სრუტით მსოფლიოს ნავთობის 20% საზღვაო ტანკერებით გადააქვთ, ეს სრუტე სპარსეთის ყურეს ინდოეთის ოკეანესთან აკავშირებს.

ამერიკელი სენატორი რუსეთს „დრაკონულ ზომებს“ ჰპირდება

აშშ-ის სენატორი ჯონ ნილი კენედი რუსეთს „დრაკონულ ზომებს“ ჰპირდება, თუ

მოსკოვი აშშ-ის კონგრესის ნოემბრის არჩევნებში ჩაერევა. **„რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ სანქციები რუსეთს არ ავნებს, მაგრამ ეს ასე არ არის. მე ვიმედოვნებ, რომ რუსეთის წინაარმდეგ დრაკონული ზომების მიღება არ დაგვჭირდება. მაგრამ თუ ჩვენ ნოემბერში ჩარევას დავინახავთ, სხვა გამოსავალი არ გვექნება“,** — განაცხადა კენედიმ. სენატორმა არ დაუკონკრეტა რა ზომებზეა საუბარი, თუმცა აღნიშნა, რომ პასუხი მომენტალური და ძალიან მკაცრი იქნება.

ქალი თავისუფლების ქანდაკებაზე



ნიუ იორკის პოლიციამ დააკავა ქალი, რომელიც თავისუფლების ქანდაკებაზე ავიდა.

ოფიცრები მასთან დაახლოებით სამი საათის განმავლობაში აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, თუმცა მისი დათანხმება ვერ მოხერხდა. შემთხვევა ოთხშაბათს მოხდა. ხალხი, რომლებიც თავისუფლების დღესთან დაკავშირებით იმყოფებოდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ევაკუირებულ იქნა.

ცოტა ხნით ადრე, პოლიციამ დაახლოებით ათამდე ადამიანი დააკავა, რომლებმაც თავისუფლების ქანდაკების ძირში ბანერები დადეს, სადაც ისინი დონალდ ტრამპის იმიგრაციულ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ.

აქცია ორგანიზებული იყო ჯგუფ Rise and Resist-ის მიერ, რომლებიც გამოდიან იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც დონალდ ტრამპი ატარებს და რომელიც მათი თქმით, საფრთხეს უქმნის დემოკრატიას აშშ-ში.

ცნობისთვის, აშშ-ში ბანერების განთავსება ეროვნულ ძეგლებზე კანონით აკრძალულია.

დრონმა საფრანგეთში ატომურ ელექტროსადგურზე იერიში მიიტანა

საფრანგეთში ბუჯეს ატომურ ელექტროსადგურს გარემოსდამცველი ორგანიზაცია Greenpeace-ის ორმა დრონმა გადაუფრინა. ერთი მათგანი ჟანდარმერიამ ჩამოაგდო, მეორე რომელსაც სუპერმენის ფორმა გადაცვეს აქციის ორგანიზატორებმა, სადგურის შენობის კედელს დაეჯახა და დაიმტვრა. ინცინდენტის ამსახველი ვიდეო თავად Greenpeace-მა გაავრცელა.

მომხდარი ატომურ ელექტროსადგურს საფრთხეს არ უქმნიდა. საერთაშორისო ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ ამ ფორმით მათ სურდათ ბიუჯეს ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოების საკითხისათვის ყურადღების მიქცევა და მათ ამ ინციდენტით დაამტკიცეს, რომ ობიექტი გარე თავდასხმებისგან სათანადოდ დაცული არ არის. სადგურის მმართველმა კომპანია Electricity de France-ი მომხდარის გამო Greenpeace-ის სასამართლოში უჩივლებს.

ცხვარი „დოლი“ 22 წლის გახდებოდა

პირველი კლონირებული ძუძუმწოვრის დაბადებიდან 22 წელი გავიდა. ცხვარი „დოლი“ 1996 წლის 5 ივლისს დაიბადა.

ის პირველი ძუძუმწოვარაა, რომლის კლონირებაც წარმატებით განხორციელდა ზრდასრული სომატური უჯრედისგან. მისი კლონირება მოხდა შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში, როსლინის ინსტიტუტში, სადაც ცხვარი ცხოვრობდა 6 წელი (სიკვდილამდე). მისი დაბადება 1997 წლის თებერვალს გამოცხადდა. „დოლი“ 2003 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა.



ბრიტანეთში ისევ „ნოვიჩოკი“ გამოიყენეს

ძალაძ ეიმსბერიში ორი ბრიტანელი ნივთიერება „ნოვიჩოკით“ მოიწამლა, ამის შესახებ სკოტლანდ იარდის კონტრტერორისტული დანაყოფის ხელმძღვანელმა ნილ ბასუმ განაცხადა. „დღეს პორტონ დაუნიდან ანალიზის პასუხები მივიღე, რომლებიც ადასტურებენ, რომ ორ ადამიანს ნივთიერება „ნოვიჩოკთან“ ჰქონდა შეხება. ორივე დაზარალებული კრიტიკულ მდგომარეობაშია. ისინი იმავე საავადმყოფოში გადიან მკურნალობას, სადაც სოლსბერიში მოწამლული ორმაგი აგენტი სერგეი სკრიპალი და მისი შვილი. ეიმსბერი სოლსბერიდან 10 კილომეტრში მდებარეობს, სადაც 4 ივლისს 45 წლის ჩარლი როული და 44 წლის დონ სტერჯესი მოწამლულები იპოვეს.

პროექტი „გაიცანი საქართველო“ 3 წლისაა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტი „გაიცანი საქართველო“ 3 წლისაა. 3 წლის განმავლობაში ჩატარდა 35 პრესტური, ჟურნალისტებმა მოინახულეს 300 ლოკაცია, მომზადდა 200-ზე მეტი სატელევიზიო რეპორტაჟი.

ფოტოები, რეპორტაჟები და ინფორმაციები გავრცელდა სოციალური ქსელებით.

ჟურნალისტების თვალით დანახული საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ჩვენმა მოსახლეობამ თავიდან გაიცნო. სასტუმრო „ამბასადორში“ გამართულ ღონისძიებაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ ჟურნალისტებს და პროდიუსერებს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის.

„მადლობა თქვენ მეგობრებო, რომ ერთვებით ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის საქმეში, არ დაიშურეთ ენერგია, იმოგზაურეთ ჩვენი ულამაზესი ქვეყნის უცნობ ადგილებში და მოამზადეთ საინტერესო რეპორტაჟები“ – განაცხადა გიორგი ჩოგოვაძემ.

რას არ გაიგებ...

● **მარტოობას** 50-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანთა 30 პროცენტი უჩივის, ხოლო 70 წელს გადაბიჯებულთა შორის ასეთების ოდენობა 80 პროცენტს აღწევს.

● არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ, დუბაიში, საგზაო პოლიცია საერთოდ არ არსებობს: ქალაქში ყველგან იმდენი ვიდეოკამერაა დამონტაჟებული, რომ საგზაო წესების ნებისმიერი დარღვევისას, დამნაშავე მძღოლი ჯარიმას ავტომატურად იღებს.



● 1858-1860 წლებში რუსეთში ეგრეთ წოდებული „სიფხიზლის მოძრაობა“ წარმოიშვა, რომელმაც ქვეყნის 32 გუბერნია მოიცვა, რომელთაგან 15-ში საქმე ხალხსა და ხელისუფლებას შორის პირდაპირ შეტაკებებამდე მივიდა, რადგან მოსახლეობამ კატეგორიული უარი განაცხადა... სპირტიანი სასმელების შეძენაზე, სამასამდე საჯარო დაწესებულება დაარბია, პოლიცია და სამხედრო ნაწილები განაიარაღა, ამიტომ მშვიდობის დასამყარებლად ზოგიერთ ქალაქში რეგულარული ჯარის შეყვანა და არტილერიის გამოყენებაც კი გახდა საჭირო.

● ყველა ტკბილეულს შორის, ზეფირი და მარმელადი ყველაზე ნაკლებად კალორიულები არიან, ხოლო ჟელატინის წყალობით ორგანიზმიდან ტოქსინების გამოყვანა და არახელსაყრელი ეკოლოგიის განეიტრალება შეუძლიათ.

● გეროინის მომხმარებელი ნარკომანის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოზე 5-7 წლით ნაკლებია?

● სტატისტიკით, ჭარბი წონა აქვთ საფრანგეთში ბავშვების 3 პროცენტს, ამერიკაში – 10, ჩვენთან კი – 7 პროცენტს.

● 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 33 პროცენტს კომბანკების „უღელი ადევს“, 45 პროცენტი კი სამსახურში ერთ წელზე მეტი არ ჩერდება.

● მსოფლიოში საქორწინო ბეჭდების ყველაზე პრესტიჟული მარკაა Cartiern.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4474; ევრო - 2.8485;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2328;
100 რუბლი - 3.8684; თურქული ლირა - 0.5197;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4398;
1000 სომხური დრამი - 5.0723.

ამინდი 6 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +20,	დღე +38
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +32
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +27
თბილისი:	ღამე +23,	დღე +36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge